ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 4 ივლისი, 2016 №156 (7082) ფასი: 50 თეთრი

## სვანეთი საპროტესტო აქციებით იმუქრება

გვ.5



# ლევან ვარშალომიძე საქართველოში დაბრუნდა



გვ.3

### სარფში მას ფეხსაცმელი ესროლეს

„2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მე კიდევ 2 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი აქ. დაკითხვებზე ხშირად მიბარებდნენ. ეს დაბარებები შოუს ემსახურებოდა. ერთია, რასაც გვედავებიან, მაგრამ მეორეა, რაც გავაკეთეთ. ჩვენ ყველა კითხვაზე პასუხი გვაქვს“

# „ახმედ ჩატაევი სააკაშვილის პირადი აგენტი იყო“







ტრისტან წითელაშვილი: „სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებლობა ნაციონალურმა მოძრაობამაც უნდა იკისროს“ გვ.2



## შაშკინი: „ჩატაევის გაშვება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო“

## ნინო ბურჯანაძე: „საქართველომ უბლოკო სტატუსი უნდა გამოაცხადოს!“

გვ.5



## გაკოტრების პირას მყოფმა ქართველმა გამომცემლებმა სარჩელი სტრასბურში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს

გვ.6

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვისა და კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტზე ორი პირი დააკავა

გვ.4

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ახმედ ჩატაევი სააკაშვილის პირადი აგენტი იყო“

შორენა მარსაგიშვილი

**აქვს თუ არა კავშირი მოქმედ ხელისუფლებას ტერორისტებთან, ვისი აგენტი იყო სინამდვილეში ახმედ ჩატაევი, რატომ ამბობს პროკურატურა უარს გახმაურებული საქმეების გამოძიებაზე, რას აპირებენ ყოფილი პოლიტპატიმრები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.**



## ტრისტან წითელაშვილი: „სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებლობა ნაციონალურმა მოძრაობამაც უნდა იკისროს“





**ტრისტან წითელაშვილი:**

– რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილს კავშირი ჰქონდა ისლამურ სახელმწიფოსთან. უკრაინულმა ვიკილიქსმა ამასთან დაკავშირებით საუბრის ჩანაწერიც გამოაქვეყნა. ამ დაჯგუფების მებრძოლებს ამერიკული თვითმფრინავი უნდა ჩამოეგდოთ, რაც შემდეგ რუსებს დაბრალდებოდა.

ამ ინფორმაციის გაჟღერებას სააკაშვილის პატრონები სერიოზულად მოეკიდნენ და განზრახვაზე ხელი აალებინეს. საქართველოს ხელისუფლებამ კი, როგორც სხვა ყველა ფაქტი, ესეც „გაატარა“ და ახლა იმის მტკიცება უწევთ, რომ თავად არ აქვთ ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი. არადა, მათ თავის დროზე ნორმალურად რომ ემუშავათ, სტამბოლის ტერაქტის შემდეგ მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა ნაციონალურ მოძრაობას დაეკისრებოდა.

***– ნორმალურად მუშაობაში რას გულისხმობთ? ხელისუფლება თავისი მუშაობით კმაყოფილია.***

– მათ საქვეყნოდ დადეს პირობა, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციას გამოიძიებდნენ. ეს საქმე რომ სრულად გამოეძიებინათ და დამნაშავეები ემხილათ, ყველა გაიგებდა, ვის რა კავშირი ჰქონდა სტამბოლის ტერაქტთან.

ამერიკული და თურქული მედიის მტკიცებით, ათათურქის აეროპორტის აფეთქების ორგანიზატორი ახმედ ჩატაევია, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციისას მომლაპარაკებლის სტატუსით მონაწილეობდა. ეს ადამიანი არის მიხეილ სააკაშვილის პირადი აგენტი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „ქართულ ოცნებას“ ეს ყველაფერი უნდა გამოეტანა სააშკარაოზე და საქვეყნოდ უნდა ეთქვა, რას აკეთებდა მიხეილ სააკაშვილი.

***– თუ მიხეილ სააკაშვილის პირადი აგენტი იყო, რატომ დააკავეს? მოქმედი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მას იარაღი ჩაუდეს.***

– ეგეც გასარკვევია, რატომ დააკავეს. ლაფანყურის საქმის გამოძიება ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს. ამ ოპერაციას შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. ეს კაცი ახლა ოდესის ოლქის პოლიცმაისტერია და სააკაშვილთან ერთად ხლართავს ინტრიგებს. ერთ-ერთი ინტრიგის მომსწრენი ცოტა ხნის წინ გავხდით. ასეთი სიურპრიზები ახლო მომავალშიც მრავლად გვექნება, რაც „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

***– სიურპრიზიო, თქვით და რას გულისხმობთ?***

– კანონიერი ქურდის დავით გერლიანის ამბავს. ეს კაცი თავისთვის კაფეში იჯდა ოდესაში, როცა მას გია ლორთქიფანიძის დაჯგუფება შეუვარდა. მათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაიჭირეს გერლიანი, ჩასვეს თვითმფრინავში და თბილისში გამოუშვეს, სადაც რუსთავი 2-ის გადამღები ჯგუფი დაახვედრეს. ერთი ამბავი ატეხეს, ხელისუფლება კანონიერ ქურდებს მფარველობსო.

გია ლორთქიფანიძესა და სააკაშვილს ოდესაში სერიოზული დაჯგუფება ჰყავთ და მსგავსი რამეების მოწყობა არ გაუჭირდებათ. ისინი კავშირში არიან ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებთან, მათ ამზადებდნენ კიდევაც. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მათგანი არჩევნების წინ საქართველოში გადმოისროლონ, თუ უკვე ჩამოსულები არ არიან.

***– საქართველოში რისთვის უნდა გადმოისროლონ?***

– არეულობის მოსაწყობად. სააკაშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება საქართველოში, თუ აქ არეულობა იქნება.

***– ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების გადმოსროლა ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის?***

– სავსებით რეალურია. მე მრავალი თვის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# შაშკინი: „ჩატაევის გაშვება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო“

**ვინ არის ახმედ ჩატაევი, რომლის სახელიც არა მხოლოდ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ, ლაფანყურის საქმეს, არამედ საერთაშორისო სკანდალს, ამჯერად სტამბოლის ათათურქის აეროპორტის ტერაქტსაც კი დაუკავშირდა?**





თურქეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩატაევის მოძებნაში დახმარებას სთხოვს, საქართველოში კი კითხვები ისმის – რატომ გაათავისუფლა ივანიშვილის ხელისუფლებამ ახმედ ჩატაევი?

თავის მხრივ, ბრალდებები ისმის სააკაშვილის ხელისუფლების მისამართით. დღევანდელი მმართველი ძალის წევრები ჩატაევს სააკაშვილის პირად აგენტსაც უწოდებენ, ხოლო მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, ჩატაევი ახალმა ხელისუფლებამ გაუშვა.

2 ივლისს რუსთავი 2-თან საუბარში ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ჩატაევი იყო სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების აგენტი, რომელიც გამოიყენეს, ხოლო შემდეგ მისი მოშორება იყო გადაწყვეტილი.

ლაფანყურის ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე, ყოფილი მაღალჩინოსანი გია ლორთქიფანიძე გამორიცხავს იმ წლებში ჩატაევისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას და ამბობს, რომ ლაფანყურის ოპერაციის დროს იძულებული გახდნენ, ჩატაევი ჩართული ყოფილიყო, როგორც მომლაპარაკებელი შუამავალი.

– იმ პერიოდში ჩატაევი იმყოფებოდა საქართველოში და ჩატაევი და ზელიმხან ხანგოშვილი ჩემი თხოვნით ჩაერთნენ მოლაპარაკებაში, ავიდნენ იმ ადგილას, სადაც ეს ჯგუფი იმყოფებოდა, შემდეგ დაგვიკავშირდნენ ზელიმხან ხანგოშვილი და ჩატაევი და თქვეს, რომ ჯგუფთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს, ვინაიდან ისინი ამბობენ, ჩვენ მუსლიმანები ვართ და იარაღს ვერ დავყრითო, – აცხადებს გია ლორთქიფანიძე.

ის იქვე დასძენს, რომ ამის შემდეგ ჩატაევი შეუერთდა შეიარაღებულ დაჯგუფებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააფრთხილა.

– მე განვუმარტე, რომ, თუ ის დარჩებოდა, გახდებოდა შეიარაღებული ჯგუფის წევრი და მის მიმართაც გატარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიება, – განაცხადა გია ლორთქიფანიძემ.

◆ ◆ ◆

სესიაშვილის განცხადებას სიცრუეს უწოდებს, ხოლო ჩატაევის გათავისუფლებას – პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ ერთი მაღალჩინოსანი.

დიმიტრი შაშკინი ნიუპოსტთან ამბობს, რომ ჩატაევი დაკავებული იყო იარაღის უკანონო ტარების გამო და წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული. მისი თქმით, ჩატაევთან დაკავშირებით გამოძიება უნდა გაგრძელებულიყო, რაც ახალმა ხელისუფლებამ არ განახორციელა და სასამართლომ მისი გათავისუფლების შესახებ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

– სესიაშვილმა თქვა, რომ ჩატაევი იყო სააკაშვილის პირადი აგენტი. მე მაინტერესებს, არსებობს ადამიანი, რომელიც ამ სისულელეს დაიჯერებს, რომ პრეზიდენტს ჰყავს თავისი აგენტები? სესიაშვილს, ეტყობა, ჰგონია, რომ სააკაშვილი იყო უშიშროების თანამშრომელი, რომელსაც თავისი პირადი აგენტურა ჰყავდა. სააკაშვილი იყო პრეზიდენტი და, ბუნებრივია, პრეზიდენტს აგენტები არ ეყოლებოდა. ეს იყო მთავარი სკანდალური ინფორმაცია, რითაც სესიაშვილი ცდილობდა, მოსახლეობა ამ სიცრუეში დაერწმუნებინა, – ამბობს დიმიტრი შაშკინი.

– სესიაშვილი გულისხმობდა იმას, რომ ჩატაევი იყო ხელისუფლების აგენტი და აღნიშნა კიდეც, რომ ის სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოიყენა.

***– ის მუდმივად იმეორებდა, რომ ჩატაევი იყო სააკაშვილის პირადი აგენტი. თუ ის სააკაშვილში გულისხმობდა ხელისუფლებას, მაშინ ამაზეც არსებობს მარტივი ლოგიკური პასუხი. თუ ჩატაევი იყო საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი და აგენტი, მაშინ რატომ დააკავეს ჩატაევი?***

ეს ახსნა გია ლორთქიფანიძემ ძალიან მარტივად, მაგრამ, კიდევ გავიმეორებ, როდესაც ლაფანყურში შეიარაღებული ჯგუფი იყო აღმოჩენილი, საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა ახმედ ჩატაევს, რომლის გვარიც დაასახელეს იმ მებრძოლებმა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ იმისთვის, რომ მშვიდობიანად გადაწყვეტილიყო ეს პრობლემა. ჩატაევი სარგებლობდა გარკვეული ავტორიტეტით ზოგადად ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებში. საქართველოში ყოფნის პერიოდში ის არაკანონიერ საქმიანობას არ ეწეოდა 2012 წლის აგვისტომდე. როდესაც მებრძოლების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ ის, როგორც შუამავალი, ჩართულიყო მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესში, ჩატაევი ჩაიყვანეს მოლაპარაკებებზე. მოლაპარაკებების ჩავარდნის შემდეგ ჩატაევმა უარი თქვა, დაეტოვებინა ჯგუფი და ამ ნაბიჯით მან ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ის დარჩა შეიარაღებულ დაჯგუფებასთან ერთად და ავტომატურად დადგა კანონის საწინააღმდეგო მხარეს. რა მოტივით დარჩა ამ წუთისთვის, ამას მნიშვნელობა არ აქვს – დარჩა რუსეთში გადასასვლელად თუ იდეოლოგიური მოტივით. ფაქტია, მან იმოქმედა კანონის წინააღმდეგ.

სესიაშვილის შემდეგი სიცრუე არის ის, რომ დაჭრილი ჩატაევი მოხოხავდა და მოვიდა თურმე ჩვენს მებრძოლებთან. გამორიცხულია, ჩვენს საგუშაგოსთან ასე მარტივად ვინმე მისულიყო. იქ არის მთა და ჯანმრთელ ადამიანს გაუჭირდება გადაადგილება, თან ხოხვით, არამცთუ დაჭრილს. ალპინისტიც რომ ყოფილიყო, დაჭრილს გაუჭირდებოდა.

ჩატაევი იყო აღმოჩენილი დაჭრილი სამძებრო ოპერაციის დროს, როცა მოხდა გვამების გამოტანა. სესიაშვილი ცრუობს, როცა ამბობს, რომ ის გადაიყვანეს, რათა ლიკვიდაცია მოეხდინათ. თუ ადამიანის ლიკვიდაცია გინდა, გამოგყავს ტყიდან, უტარებ ოპერაციას და მერე გეგმავ მის ლიკვიდაციას? ბარემ ტყეში მოკლავ, თუ ლიკვიდაცია გაქვს გადაწყვეტილი.

***– სესიაშვილმა განაცხადა, რომ ის იყო დაკავებული იარაღის უკანონო ტარებისთვის და არა – ტერორიზმის მუხლით. მის სიტყვებს შეგახსენებთ: „ჩვენ ორი ლიმონკის საქმე დაგვხვდა ჩატაევზე და მას იცავდნენ როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები“.***

– აქ უკვე, როგორც იურისტი, გიპასუხებთ, რომ ჩატაევი იყო დაკავებული იარაღით. ბუნებრივია, ვინაიდან მას ჰქონდა იარაღი უკანონოდ, მასზე საქმე აღიძრა იარაღის უკანონო ტარებით და ჰქონდა შეფარდებული წინასწარი პატიმრობა. ამის შემდეგ გამოძიებას უნდა დაემტკიცებინა, როცა ჩატაევი იქ დარჩა, იყო თუ არა ამ ჯგუფის მიერ დაგეგმილი მოქმედებების მონაწილე, თორემ წინასწარი პატიმრობა, ორთვიანი, ეს იყო შეფარდებული უკანონო იარაღის ტარებაზე.

წულუკიანს დაავიწყდა, ეტყობა, რომ იმ პერიოდისთვის ის იყო ნომერ პირველი პროკურორი და ის ამბობს, რომ იყო წინააღმდეგი, ჩატაევი გათავისუფლებულიყო. ნომერ პირველი პროკურორი ამბობს ამას და, მიუხედავად ამისა, ნომერ მეორე პროკურორი ჩატაევს უხსნის ბრალდებას.

ბესელიაც ცრუობს, როცა ამბობს, რომ სასამართლომ გაუშვა. არა – სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და სხვა გზა მას არ ჰქონდა. სასამართლო ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა. წულუკიანმა თავისი განცხადებით სიტუაცია გაყიდა. როცა პირველი პროკურორი ამბობს, რომ ის წინააღმდეგი იყო და, მიუხედავად ამისა, ჩატაევი გაუშვეს, ნიშნავს იმას, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა ის, რომ ბრალდება იყო თურმე არასწორი.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ვარშალომიძე საქართველოში დაბრუნდა

შორენა მარსაგიშვილი

## სარფში მას ფეხსაცმელი ესროლეს

ნაციონალებისთვის გუშინდელი დღე საზეიმო გამოდგა. რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ 3 ივლისს საქართველოში აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე დაბრუნდა. ის საარჩევნო კამპანიაში ერთვება და ბათუმის მაჟორიტარობისთვის აპირებს ბრძოლას.

პირველად ინფორმაცია ამის შესახებ მისმა მეგობარმა მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა. რამდენიმე თვის წინ ოდესის ოლქის გუბერნატორმა განაცხადა, რომ ნაციონალების მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატი ლევან ვარშალომიძე იქნებოდა.

რაღაც დროის განმავლობაში ამ თემაზე აღარავინ საუბრობდა და ეს ამბავი ყველამ დაივიწყა. თემა აქტუალური გასულ კვირას გახდა.

ნაციონალურმა მოძრაობამ წინა კვირას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძისა და აჭარის მთავრობის სრული შემადგენლობის გადადგომა მოითხოვა.

– აჭარის მთავრობამ და პირადად არჩილ ხაბაძემ, უნიათო და უსაქმურმა მთავრობის თავმჯდომარემ, მოატყუა რეგიონის მოსახლეობა. ივანიშვილის ხელდასხმით არჩილ ხაბაძე 4 წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდა და ყველაფერს აკეთებდა საკუთარი კლანის გამდიდრებისთვის. მოვუწოდებ ხაბაძეს, გადადგეს დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დაწყებული გვაქვს გადაყენების პროცესი, უახლოეს დღეებში უმაღლესი საბჭო იმსჯელებს ამ საკითხზე და მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას, – განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პეტრე ზამბახიძემ.

ამ განცხადებიდან მალევე ნაციონალებმა ახალი ინფორმაცია დააანონსეს. მათი განცხადებით, ვარშალომიძე საქართველოში მალე დაბრუნდებოდა. ეს მალე 3 ივლისი გამოდგა.

ლევან ვარშალომიძე სამშობლოში თურქეთიდან შემოვიდა. სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მას ნაციონალური მოძრაობის წევრები ელოდებოდნენ. მათ შორის იყო ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი.

სანამ ვარშალომიძე მშობლიურ მიწაზე დაადგამდა ფეხს, აქ აქტიურად განიხილებოდა მისი შესაძლო დაკავების საკითხი.

ამ მითქმა-მოთქმას ხელი თავად ვარშალომიძის განცხადებამაც შეუწყო. ჩამოსვლამდე მან განაცხადა, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ მისი დაკავება ცადოს.

დევნილთა მინისტრ სოზარ სუბარისთვის ეს ჭორები გაუგებარია. სუბარი ამბობს, რომ პოლიტიკურად ვარშალომიძე არც აქ ყოფნის დროს და არც მომავალში რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს.

– არ ვიცი, რა დანაშაული აქვს ჩადენილი ვარშალომიძეს. მას ვუსმენდი, რომ არაერთხელ ყოფილა დაკითხვაზე და რადგან დაკითხვებზე იბარებდნენ, ე.ი. რაღაც კითხვები მის მიმართ არსებობდა. რატომ ეშინია, არ ვიცი, ალბათ, თვითონ უკეთესად იცის, რა აქვს ჩადენილი და რის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს. პოლიტიკურად ვარშალომიძე არც აქ ყოფნის დროს წარმოადგენდა რამეს და არც მომავალში რამე საფრთხე მისგან არ არსებობს, – განაცხადა სუბარმა.

ლევან ვარშალომიძის სარფში გადმოსვლას მცირე ინციდენტი მოჰყვა.

მოქალაქე მერაბ ღოლობერიძემ მას საზღვრის გადმოკვეთის დროს ფეხსაცმელი ესროლა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოქალაქე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

რამდენიმესაათიანი პატიმრობის შემდეგ ღოლობერიძე გაათავისუფლეს. თავისუფლებაზე გამოსულმა მან განაცხადა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია და ვარშალომიძეს, უბრალოდ, აჭარის მოსახლეობის მოკითხვა გადასცა.

უსიამოვნო სიურპრიზი ვარშალომიძეს თანაპარტიელებმა დაავიწყეს. ისინი მას ტაშითა და შეძახილებით დახვდნენ.

მართალია, სუბარი ამბობს, რომ ვარშალომიძე საფრთხე არაა და მას არავინ დაიბარებს, მაგრამ ამაში თავად ახალდაბრუნებული დარწმუნებული არ არის.

– 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მე კიდევ 2 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი აქ. დაკითხვებზე ხშირად მიბარებდნენ. ეს დაბარებები შოუს ემსახურებოდა. ერთია, რასაც გვედავებიან, მაგრამ მეორეა, რაც გავაკეთეთ. ჩვენ ყველა კითხვაზე პასუხი გვაქვს, – განაცხადა სამშობლოში დაბრუნებულმა ნაციონალმა.

დაბრუნების მთავარ მიზეზად ის მოახლოებულ არჩევნებს ასახელებს.

– დაბრუნების მიზეზი ისაა, რომ ჩავერთო წინასაარჩევნო კამპანიაში, ჩავუდგე სათავეში ჩვენს გუნდს და გავიმარჯვო მათთან ერთად. ხალხთან ერთად უნდა დავასრულოთ ის დანაპირები, რომელიც გვქონდა, – ამბობს აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაური.

მისი თქმით, დაწყებული საქმეების დასრულების ყველაზე მეტი შანსები ახლა მიეცათ.

– ჩვენ გვაქვს შანსი, 2016 წლის 9 ოქტომბრიდან დაპაუზებული აჭარა ისევ სამშენებლო ბუმად გადავაქციოთ. აჭარა დღეს



არის უპატრონო. ამას გრძნობს ყველა. რეგიონი ყველა მიმართულებით გაჩერებულია, – აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ.

რამდენად აამუშავებს დაპაუზებულ აჭარას ვარშალომიძე, ძნელი სათქმელია. თუმცა, როგორც ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე ამბობს, ვარშალომიძეს აჭარაში სერიოზული გავლენები აქვს.

◆ ◆ ◆

ვარშალომიძის ჩამოსვლამ ნაციონალებს ხასიათი ცოტათი გამოუსწორა. როგორც ამბობენ, საარჩევნო სიის ფორმირებისა და მაჟორიტარების წარდგენის გამო მათთან დიდი სკანდალებია მოსალოდნელი.

განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა პარტიის ყრილობა გახდეს. მიხეილ სააკაშვილი მოითხოვს, რომ ყრილობა დიდგორის ველზე გაიმართოს. ეს იდეა ნაციონალებში ყველას არ მოსწონს.

ამ იდეას ეწინააღმდეგება პარტიის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი ელენე ხოშტარია, რომელიც, იმავდროულად, საარჩევნო სიის ათეულშია.

დიდგორულ ყრილობას სხვებიც ეწინააღმდეგებიან და მათ ამის გამო შესაძლოა პარტიაც კი დატოვონ. თუ ელენე ხოშტარიას დავუჯერებთ, ამ ეტაპზე ყრილობის ჩატარების ადგილი განხილვის საგანი არ ყოფილა და საკითხი გადაწყვეტილი ჯერ არ არის.

# „ახმედ ჩატაევი სააკაშვილის პირადი აგენტი იყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

განმავლობაში ვამტკიცებდი, რომ ნაციონალები უკრაინაში ზონდერებს ამზადებენ, რომ აქ არეულობა მოაწყონ. ეს ინფორმაცია გასული წლის ბოლოს ოფიციალურად დადასტურდა. არც ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების გადმოსროლა გაუჭირდებათ. ნაციონალებს მათთან მჭიდრო კავშირები აქვს. ახმედ ჩატაევი, როგორც უკვე გითხარით, სააკაშვილის პირადი აგენტი იყო. ამ ინფორმაციას საქართველოს ხელისუფლებაც ადასტურებს.

ოდესაში წასვლამდე გია ლორთქიფანიძე საქართველოში ცხოვრობდა და ხელისუფლება ვალდებული იყო, ის დაეკავებინა. ლაფანყურის სპეცოპერაციას ეგ ხელმძღვანელობდა და მან ბევრი რამე იცის. ჩატაევი რომ მაგათი აგენტია, იმითაც დასტურდება, რომ მოსალაპარაკებლად მაინცდამაინც ეგ გაუშვეს. არადა, ასეთ დროს უხუცესებს სთხოვენ ხოლმე მოლაპარაკებას, ნაციონალებმა კი თავიანთი აგენტი აირჩიეს. თავიდან მისი მოკვლაც დააპირეს, შემდეგ კი ციხეში ჩასვეს.

***– ციხეში რატომ ჩასვეს, თუ მათი აგენტი იყო?***

– ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა ლაფანყურში. შეიარაღებული რაზმის წევრები იქ მაშინდელი ხელისუფლების ნებართვით მოხვდნენ. როგორც ამბობენ, ისინი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აპირებდნენ გადასვლას. მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი და ამას მოჰყვა ის ხოცვა-ჟლეტა, რომელიც შემდეგ ვიხილეთ.

***– რა გაუთვალისწინებელი შემთხვევა შეიძლება მომხდარიყო?***

– ეს გია ლორთქიფანიძესა და ამ სპეცოპერაციის სხვა მონაწილეებს ეცოდინებათ კარგად. ბევრი მათგანი დღესაც ისევ ძველ თანამდებობაზეა. ეტყობა, ამ რაღაცის საქმის კურსში ჩატაევიც არ იყო და ამიტომ ცადეს მისი მოკვლა. რადგან ლიკვიდაცია არ გამოუვიდათ, დააკავეს. ყველაფერი გააკეთეს, რომ ამბის გამომტანი არ დარჩენილიყო. მებრძოლების ნაწილი დახოცეს, მეორე ნაწილი კი საქართველოდან გააპარეს.

სიმართლის დადგენა „ქართულ ოცნებას“ შეეძლო. მათ არ მოინდომეს და ახლა ამტკიცონ, რომ ტერორისტებთან კავშირში არ არიან. ჩვენ კი ვიცით, ვისი აგენტიც იყო ჩატაევი, მაგრამ ამაში დასავლეთის დარწმუნება ძნელი იქნება. მათ თავიდანვე უნდა ეთქვათ ამის შესახებ.

***– ახლა ხომ ამბობენ, ირაკლი სესიაშვილის მტკიცებით, აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის ვიდეომასალაც არსებობს.***

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთი დოკუმენტები არსებობს. მე ის ვერ გამიგია, რატომ არ თქვეს თავის დროზე ამის შესახებ.

***– გასაგებია, რომ ჩატაევი მათი აგენტი იყო, მაგრამ ამ***



***ხელისუფლებამ რატომ გაათავისუფლა?***

– ვერაფერი დაუმტკიცეს. გამოძიების დროს მესაზღვრეებმა აღიარეს, რომ მას იარაღი არ ჰქონია. ჩატაევი საქართველოს მოქალაქეც არ ყოფილა და რა საბაბით უნდა დაეტოვებინათ ის ციხეში. ის იმ დროისთვის ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ყოფილა.

ძალიან ცუდია, „ქართულმა ოცნებამ“ ლაფანყურის საქმე ბოლომდე და თავის დროზე რომ არ გამოიძია, მაგრამ ამის გარეშეც ნათლად შეიძლება იმის თქმა, რომ ახმედ ჩატაევი არის მათთან დაკავშირებული პირი. აქედან გამომდინარე, სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებლობა, ისლამურ სახელმწიფოსთან ერთად, ნაციონალურმა მოძრაობამაც უნდა აიღოს.

***– მხოლოდ იმიტომ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რომ ახმედ ჩატაევს იცნობდნენ?***

– მარტო კი არ იცნობდნენ, არამედ მათი აგენტი იყო. ეს ცოტა ამბავი არ არის. დარწმუნებული ვარ, ამით საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესდება და სააკაშვილს ძალიან უხერხულ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. ნაციონალები ბევრი სიტუაციიდან გამოძვრნენ, მაგრამ ახლა თავის მართლება გაუჭირდებათ.

***– ამ ეტაპზე ისინი თავს სულაც არ იმართლებენ. თავის მართლების რეჟიმზე „ქართული ოცნებაა“ გადასული.***

– „ქართული ოცნება“ სანამ „საბოტაჟნიკებისგან“ არ გათავისუფლდება, კიდევ დიდხანს მოუწევთ ამ რეჟიმში ყოფნა.

***– „საბოტაჟნიკებში“ ვის გულისხმობთ?***

– პროკურატურის რიგითი თანამშრომლებით დაწყებულს, უმაღლესი თანამდებობის პირებით დამთავრებულს. ალასანია თავისი პარტიითა და რესპუბლიკელები ყოველთვის ნაციონალების წისქვილზე ასხამდნენ წყალს, ყველანაირად ცდილობდნენ, გამოძიებისთვის ხელი შეეშალათ.

მსგავს ქმედებებშია შემჩნეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც. თავისი ქმედებებით ის ნაციონალების მისიას ასრულებს. სხვა გამოსავალი არც აქვთ. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს მაგაზე და კიდევ სხვა მაღალი თანამდებობის პირებზე კომპრომატები აქვს. ასეთი კომპრომატებით ჰყავს დაჭერილი წინა ხელისუფლებას უცხოელი დიპლომატებიც. საკმარისია, რომელიმე ნაციონალი დაკითხვაზე დაიბარონ, რომ ერთ ამბავს ტეხენ, სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით კი ხმაც არ ამოუღიათ. არადა, ცხონებულმა სტრასბურის სასამართლოც მოიგო.

სულხან მოლაშვილი ისე წავიდა ამქვეყნიდან, ჯალათების დასჯას ვერ მოესწრო. არადა, მათი ვინაობა ყველასთვის ცნობილი იყო. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, წინა ხელისუფლებას ციხეშივე ჰქონდა გადაწყვეტილი მისი ლიკვიდაცია. ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაშინ კარგად იმუშავეს და სულხანი გადაარჩინეს. სამწუხაროდ, მას ციხეში ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა. მართალია, ხელისუფლების შეცვლას მოესწრო, მაგრამ სამართლის აღდგენას – არა.

მისმა სიკვდილმა ყველაზე მძიმე გავლენა მოახდინა. დავკრძალავთ ამ ადამიანს და აუცილებლად მოვთხოვთ ხელისუფლებას, დაიწყოს გამოძიება. ისედაც დიდი ხანი ველოდეთ სამართლიანობის აღდგენას.

***– აქამდე რატომ არ მოითხოვეთ კატეგორიულად სამართლიანობის აღდგენა?***

– მე მეტი რაღა უნდა მომეთხოვა? ყოველდღე პრესკონფერენციას ვატარებ და სულ პროკურატურაში ვარ. უამრავ საქმეზე მაქვს მიტანილი მტკიცებულებები. ჩავაბარებ ამ მტკიცებულებებს, შემპირდებიან, მალე გავეცნობითო. ერთი თვის თავზე ვურეკავ და არ მპასუხობენ. სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობს ჩემი საქმის გამომძიებელიც. ჩემს ხმაზე უკვე ალერგია აქვთ, მაგრამ ვპირდები, რომ კიდევ დიდი ხანი მოუწევთ ჩემი წივილ-კივილის ატანა – სანამ სამართლიანობა არ აღდგება, არ გავჩერდები.

სულხანის გარდაცვალების შემდეგ სხვა ყოფილ პოლიტპატიმრებთანაც მქონდა საუბარი. ყველა შევთანხმდით, რომ ხელისუფლებას კატეგორიულად მოვთხოვოთ სამართლიანობის აღდგენა. ეს მათი წინასაარჩევნო დაპირება იყო და არჩევნების წინ აუცილებლად უნდა შეასრულონ.

***– თუ არ შეასრულებენ?***

– მაშინ სხვა გამოსავალი აღარ გვრჩება, თავად უნდა დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა. აქამდე ცოტაღა გვიკლია. ეს პროცესი „ოცნებისთვისაც“ ცუდი იქნება, რადგან უსამართლობით გამწარებულმა ხალხმა შესაძლოა ნაციონალებს ისინიც მიაყოლოს.



## სერგო რატიანი: „სკოლის სახელმძღვანელოებზე ტენდერიც კი არ არის გამოცხადებული“

ნაციონალური მოძრაობის ლიდერი სერგო რატიანი ახალი სასწავლო წლისათვის ახალ წიგნებზე ტენდერის გამოუცხადებლობის გამო განათლების ახალი მინისტრს ძველი მანკიერი ტრადიციის გაგრძელებაში ადანაშაულებს.

სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით ბრიფინგი რატიანმა ნაციონალური მოძრაობის ოფისში გამართა.

დეპუტატის ვარაუდით, ახალი სასწავლო წელი ძველი სახელმძღვანელოებით დაიწყება. ამასთან, რატიანი არ გამორიცხავს, რომ შესყიდვა შესაძლოა პირდაპირი წესით ერთი გამომცემლობისგან მოხდეს.

– ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილია 2 თვეზე ოდნავ მეტი. სკოლის სახელმძღვანელოები არათუ დაბეჭდილი არ არის, არამედ მასზე ტენდერიც კი არ არის გამოცხადებული. ბიუჯეტში 12.000.000 ლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელი იყო, ტენდერი აქამდე გამოცხადებულიყო. მინისტრი, როგორც ჩანს, აგრძელებს ტრადიციას, რომელიც 4 წელია, დამკვიდრდა. ანუ ის აპირებს ერთ პირთან მოლაპარაკებებით 12.000.000 დახარჯვას. ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ისევ იქნება პროტექციონიზმი, – აცხადებს სერგო რატიანი.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ არჩევნები მოგებული აქვს“

## „პარტიები წინასაარჩევნო კამპანიას აგვიანებენ“

ნათია ხურცილავა





პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო კამპანიასა და პოლიტიკური სპექტრის შანსებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, პრემიერი პირობას დებს, რომ ოქტომბრის არჩევნები ღია, თავისუფალი და დემოკრატიული იქნება. ხელისუფლება შეასრულებს ამ პირობას?***

– „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო ფონი ისე, რომ კანონი არ დაარღვიოს, წინა ხელისუფლებაზე უკეთესი შეიქმნა, უარი თქვა გერმანულ მოდელზე, მაჟორიტარული არჩევნები დატოვა, დაფინანსება მისცა არა 5 პარტიას, როგორც აქამდე იყო, არამედ 10 პარტიას. ეს ყველაფერი ფონს აძლევს ხელისუფლებას. მას არ დასჭირდება ზედმეტი ხელოვნური ჩარევები.

ისე, ერთი უცნაური რამ ახლავს ამ არჩევნებს – არჩევნებამდე სამი თვეა დარჩენილი და პარტიებს წინასაარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყიათ, მეტიც, ზოგიერთი პარტია რეგისტრირებულიც კი არ არის, ცესკოში განცხადიც კი არ აქვთ გაკეთებული.

***– პარტიები წინასაარჩევნო კამპანიას აგვიანებენ?***

– რა თქმა უნდა, აგვიანებენ. ეს ან გაუცნობიერებლად ხდება, ან ამომრჩევლისთვის ბევრი არაფერი აქვთ სათქმელი. ამომრჩეველი უკვე აღარ არის ის ადვილად მოსატყუებელი ბავშვი, რომელსაც შეიძლება კანფეტების ზღვას დაჰპირდე.

***– სახელისუფლებო პარტიაც აგვიანებს?***

– დიახ, მაგრამ ახლა ჩვენ ვხედავთ იმას, რომ ხელისუფლება, უშუალოდ პრემიერი, გააქტიურდა უცხოეთის მიმართულებით. გიორგი კვირიკაშვილი ფიქრობს, რომ ახლა ჯერი უცხოეთზეა. ისინი უნდა დაარწმუნოს, რომ ის და მისი პარტია არის მთავარი ძალა, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ამ არჩევნებში. ასევე ამ შეხვედრების მთავარი ლაიტმოტივი არის ის, რომ არჩევნებს ზედმიწევნით კარგად, დემოკრატიული სტანდარტების დაცვით ჩაატარებს. ბოლო ორი თვეა, რაც პრემიერი უცხოეთშია და თბილისში მივლინებით ჩამოდის. ეს კარგია.

***– ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ საჭიროა, საერთაშორისო მხარდაჭერა უფრო აქტიური იყოს და ამისთვის მეტი მუშაობაა საჭირო?***

– რასაკვირველია. ასევე აშკარაა იმ პოლიტიკის ცვლილება, რომელსაც ერთი-ორი დეპუტატის მხრიდან ადგილი ჰქონდა – ევროპარლამენტარების მისამართით სალანძღავ განცხადებებს ვგულისხმობ. ძალაში შევიდა და ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობა, მაგალითად, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, ამ ქვეყნებში რა უნდა გავიტანოთ და გავყიდოთ, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ ყველასთან უნდა გვქონდეს ურთიერთობა. კარგია ის ვიზიტები, რომლებიც მიყოლებით იყო უმაღლეს დონეზე, მაგალითად, გერმანიაში.

***– გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა გვითხრა, რომ ვიზალიბერალიზაციას სექტემბრის შუა რიცხვებში მივიღებთ. ეს გარკვეულ გავლენას მოახდენს წინასაარჩევნოდ ხელისუფლების სასარგებლოდ?***

– დიდ გავლენას, ალბათ, ვერ მოახდენს, თუმცა, რასაკვირველია, ეს იქნება დადებითი მნიშვნელობის. მშიერი ადამიანისთვის, რომელიც სოფელში ცხოვრობს, გნებავთ, დედაქალაქში, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, უვიზო მიმოსვლა იქნება თუ არა. ის მაინც თავის ჯიბეს უყურებს და პარიზსა და მონაკოში წასვლა აზრადაც არ მოუვა.

თუმცა, მიუხედავად შტაინმაიერის ამ განცხადებისა, მე მაინც მგონია, რომ სექტემბერში ვიზალიბერალიზაცია ვერ მოხერხდება, რადგან ახლა ევროკავშირში დიდი აურზაურია. ეჭვი არ მეპარება, რომ ვიზალიბერალიზაციას მოგვცემენ, მაგრამ, ალბათ, გარკვეული დროის შემდეგ, რადგან დიდი ბრიტანეთის ირგვლივ განვითარებული მოვლენები არც ისე ადვილი მოსაგვარებელია და ზოგადად ევროკავშირს ბედნიერ მომავალს არ უქადის.

შეჩერების მექანიზმი, რომლის ამოქმედებაზეა საუბარი, ალბათ, ასეთი მარტივი არ იქნება, რადგან საჭიროა დრო. ასევე წინაღობაა თურქეთის პრობლემები. თურქეთი რუსეთთან შერიგების სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. შავი ზღვის სამიტზე სერგეი ლავროვმა პირადად დაპატიჟა საგარეო საქმეთა მინისტრი დავიდ ოღლუ. ერდოღანმა რუსეთს მოუბოდიშა კიდეც. ეს ყველაფერი ახალი მოვლენებისა და ფაქტების წინაშე დაგვაყენებს ყველას.

***– ისევ არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, ხელისუფლების მთავარი მესიჯი რა უნდა იყოს?***

– მესიჯი კი არა, მაგალითად, კახეთში უნდა ააშენოს 3-4 მცირე ზომის ქარხანა, თუნდაც წვენების გადასამუშავებელი, რომ გლეხებს ატამი არ დაულპეთ. თუ ეს ქარხნები აშენდება, კახელები ილოცებენ ამათზე. ყურძნის დაბინავების სეზონი ემთხვევა ასევე. ღვინის ქარხნები უკვე აცხადებენ, რომ ყურძენს ფასი არ ექნება, გლეხის შრომას აუფასურებენ, ამას უნდა სერიოზული მიხედვა. ამ მიმართულებით არის სამუშაოები.

***– ამ არჩევნებზე სიურპრიზები მოსალოდნელია?***

– არავითარი სიურპრიზი არ იქნება. 70 მაჟორიტარი „ქართულ ოცნებას“ უკვე გარანტირებული ჰყავს, 15-20 სიით გაიყვანს და არჩევნებიც მოგებული აქვს. პრობლემა ისაა, რომ ხალხში ნიჰილისტური განწყობაა. ამ არჩევნების მთავარი პრობლემა ამომრჩევლის აქტივობის დაბალი მაჩვენებელი იქნება.

# ოპოზიცია საპროტესტოდ ექსპოჯორჯიასთან იკრიბება

მარიამ მჭედლიშვილი



**პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლება აუარესებს საარჩევნო გარემოს, დღეს, 4 ივლისს, საპროტესტოდ ექსპოჯორჯიასთან შეიკრიბება.**

**როგორც ცნობილია, იქ მიმდინარეობს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სესია.**

ქართველ პოლიტიკოსებს უცხოელების ყურადღების მიპყრობა უნდათ. საარჩევნო ბლოკ „დავით თარხან მოურავი-ირმა ინაშვილი ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიცია“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ხელისუფლებამ სხვა გზა არ დაუტოვა.

აქციის ორგანიზატორებს იმედი არ აქვთ, რომ არჩევნებამდე საარჩევნო სისტემა შეიცვლება. ისინი პრეზიდენტს მოუწოდებენ, ვეტო დაადოს ბოლოდროინდელ ცვლილებებს, რომლებიც, მათი შეფასებით, საარჩევნო გარემოს აუარესებს.

მოსალოდნელია, რომ აქციაზე მოვალეების დაჩქარებული წესით სახლებიდან გამოსახლებაც გააპროტესტონ. გაერთიანებული ოპოზიცია აცხადებს, რომ ამ დღეებში განახლდა ვალის მქონე მოქალაქეების სახლებიდან გამოყრის პრაქტიკა.

არჩევნების შესახებ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე ორი დღის წინ საქართველოს პრემიერმა თავად ისაუბრა. გიორგი კვირიკაშვილმა სესიის მონაწილეებს განუმარტა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა წლევანდელი არჩევნები ღია, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს.

მისი თქმით, ამ არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარებით დემოკრატიული განვითარების გზაზე საქართველოს წინსვლა კიდევ ერთხელ დადასტურდება.

– საერთაშორისო დამკვირვებელთა აღიარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა თავისუფალ და სამართლიან გარემოში. ამ არჩევნებზე დასაკვირვებლად წელს კიდევ მეტი ქვეყანა და ორგანიზაცია გვყავს მოწვეული, – აღნიშნა პრემიერმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო არჩევნებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაც დააკვირდება.

– მზად ვართ, მივიღოთ დამკვირვებელთა მაქსიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველვყოთ საარჩევნო გარემოს სრული გამჭვირვალობა, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მანამდე პრემიერმა პარტიებს მიმართა, წინასაარჩევნოდ შეთანხმდნენ მორალურ კოდექსზე, რომელიც აკრძალავს ერთმანეთის შეურაცხყოფასა და სიძულვილის ენის გამოყენებას.

მისი მოწოდების გულწრფელობა არ დაიჯერეს ოპონენტებმა. მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ ესაა ფარისევლობა იმ პირობებში, როცა პასუხისგებაში არ არიან მიცემული კორცხელის საარჩევნო ძალადობის ორგანიზატორები. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძის თქმით კი, ამაზე საუბარი უადგილოა იმ დროს, როცა ხელისუფლებამ რამდენიმე პარტიას საეთერო დრო ჩამოაჭრა.

ნინო ბურჯანაძის, შალვა ნათელაშვილისა და დავით თარხან-მოურავის პარტიებს ბოლო დროს მიღებული ცვლილებებით მოაკლდათ ადრე დაკანონებული უფასო საეთერო დრო და ის გადაუნაწილდათ იმ პარტიებს, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იყვნენ კოალიციაში. სამი დაზარალებული პარტია აცხადებს, რომ ამ პარტიებს საეთერო დრო პარტია „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ უნდა გაუყოს.

თითქმის მთელი ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მაჟორიტარული სისტემის გაუქმება იყო. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, ეს 2020 წლისთვის უნდა მოხდეს. წლევანდელი არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდება, რაც, ოპონენტების აზრით, არათანაბარ პირობებს ნიშნავს.

ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ მაჟორიტარულსაც და პროპორციულ არჩევნებსაც დიდი უპირატესობით მოიგებს. ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში 100 ან მეტი დეპუტატის გაყვანას შეძლებს, როგორც ამას პარტიის ლიდერები ვარაუდობენ. თუმცა, პირველ ადგილს თითქმის ყველა „ქართულ ოცნებას“ უწინასწარმეტყველებს. ამასთან, სოციოლოგები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში მოხვედრის შანსები მცირდება. თუ ადრე ამის იმედი დაახლოებით 8 სუბიექტს უნდა ჰქონოდა, ახლა ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა დაახლოებით 4 ძალას აქვს.

ცესკოში არჩევნებში მონაწილეების მსურველების განცხადებების შეტანა გრძელდება. უკვე შეტანილია 53 სუბიექტის განაცხადი. აქედან რამდენიმეს პარტიის რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. პარტიების ნაწილი რეგისტრაციის პროცესშია.

მემარცხენეებისა და მემარჯვენეების გარდა, არიან სხვადასხვა შინაარსისა და შეფერილობის სუბიექტები. ზოგიერთი ახალი პარტიის ლიდერს აქამდე საზოგადოება სხვა მხრიდან იცნობდა. მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვთ მონარქისტულ მოძრაობა „სამეფო გვირგვინს“ ია ბაგრატიონ-მუხრანელის ხელმძღვანელობით, ასევე მამუკა ტუსკაძის „ნეიტრალურ ევრაზიულ საქართველოს“.

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვისა და კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კომერციული მოსყიდვისა და კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტზე ა(ა)იპ „35-ე საფეხბურთო კლუბის“ პრეზიდენტი გოჩა ა. და მოქალაქე ვასილ მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა გოჩა ა-მ მოქალაქე ვასილ მ-ს დახმარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეს ა(ა)იპ „35-ე საფეხბურთო კლუბში“ ფიქტიურად გაფორმების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 8.000 აშშ დოლარი.

გამოძიება კომერციული მოსყიდვისა და კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 25-221-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# პედრო აგრამუნტი: „ევროსაბჭო საქართველოს კონფლიქტიდან გამოსავალს მთელი ძალისხმევით ეძებს“



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პედრო აგრამუნტის განცხადებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის სუვერენიტეტს.

ამის შესახებ აგრამუნტმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

– საქართველო უკვე 17 წელია, ევროპის საბჭოს წევრია. ამ პერიოდში თქვენმა ქვეყანამ ევროპის ინტეგრაციისკენ მძლავრი მისწრაფება გამოავლინა და დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის სუვერენიტეტს. ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოს კონფლიქტი ერთ-ერთია ევროპაში. ჩვენ გვსურს, რომ გამოსავალი მოვძებნოთ. ამ მიმართულებით მთელი ძალისხმევით ვმუშაობთ, – განაცხადა აგრამუნტმა.

**მედიანიუსი**

# თედო ჯაფარიძე: „მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც რუსული ტანკები სულ რაღაც 40 კილომეტრში დგანან“

– მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც არიან გატაცებულები და მოკლულები. – ასე მიმართა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეორე დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე დამსწრე დელეგატებს.

– მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც, როდესაც ჩვენ სხვადასხვა მნიშვნელოვან თემას განვიხილავთ, რუსული ტანკები დგანან სულ რაღაც 40 კილომეტრში, წარმოვადგენ ქვეყანას, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია, სადაც სოფლები გაყოფილია, ოჯახები დანგრეული და ასობით ათასი დევნილია. მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც არიან გატაცებულები და მოკლულებიც, – განაცხადა ჯაფარიძემ.

**მედიანიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: „საქართველომ უბლოკო სტატუსი უნდა გამოაცხადოს!“

**„დღეს მე და ჩემი თანაგუნდელები გამოვდივართ უმნიშვნელოვანესი ინიციატივით, რომელიც იქნება ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის, სტაბილურობის, მშვიდობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეკონომიკური აღორძინების გარანტია“, – ამ სიტყვებით დაიწყო „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ პარტიის მთავარ საბჭოსთან ერთად გამართული საგანგებო ბრიფინგი.**



„მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე თავს უნდა დაემატოს მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველო გამოაცხადებს უბლოკო სტატუსს. ეს ნიშნავს, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაწევრიანებაზე, იქნება ეს ნატო თუ ნებისმიერი სხვა სამხედრო ორგანიზაცია. საქართველოში არ უნდა იყოს განლაგებული არცერთი სახელმწიფოს, არცერთი სამხედრო ორგანიზაციის ჯარი!

ხაზგასმით ვიმეორებ! საქართველოში არ უნდა იყოს არც ნატოს და არც რუსეთის ჯარი! როდესაც ვლაპარაკობ საქართველოზე, ბუნებრივია, ვგულისხმობ გაერთიანებულ საქართველოს – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით!“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა“ იწყებს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლასა და ხელმოწერების შეგროვებას აღნიშნული ინიციატივის რეალიზებისათვის.

„დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს ძალიან ბევრი ადამიანი საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავს №3-ს და მოგვცემს მანდატს ამ საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებისათვის.

ეს ინიციატივა განპირობებულია დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით და, უპირველესად, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. დაუშვებელია, რომ ჩვენი სამშობლო კვლავ დარჩეს ორი სუპერსახელმწიფოს დაპირისპირების პოლიგონად, არ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ინტერესები ეწირებოდეს რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ქვეყნის ინტერესებს, სადაც არ უნდა იყოს ეს ქვეყანა – ახლოს თუ შორს!“ – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილის ქმედებებიდან გამომდინარე, საქართველო მოქმედებს არა საკუთარი, არამედ აშშ-ისა და ნატოს ინტერესებით. დროა, ქვეყანაში მოვიდეს ხელისუფლებაში ძალა, რომელიც უპირველესად საკუთარი ქვეყნის ინტერესებით იმოქმედებს! ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ძალა, რომელიც იმოქმედებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ საკუთარი სამშობლოს ინტერესებს დააყენებს პირველ ადგილზე.

„სწორედ ჩვენი ქვეყნის უბლოკო სტატუსი იქნება რეალური დამოუკიდებლობის, სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარებისა და აღორძინების გარანტია. ეს იქნება მშვიდობისა და თითოეული თქვენგანის კეთილდღეობის საფუძველი, რაც უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო და პრინციპულია დღეს საქართველოსთვის.

ამ ინიციატივის შედეგად განხორციელებული უბლოკო სტატუსი იქნება უმთავრესი პირობა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების მოგვარებისა და საქართველოს გამთლიანების უმთავრესი წინაპირობა“ – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ ხელმოწერების კამპანიაში ჩაერთვება ძალიან ბევრი ადამიანი და საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა დაუჭერს მხარს ამ ინიციატივის განხორციელებას.

„ჩვენ, ბუნებრივია, მოვივლით მთელ საქართველოს, კარგად ავუხსნით ხალხს, თუ რას ნიშნავს ეს ინიციატივა ქვეყნისათვის. ეს არის გაბედული, პრინციპული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება, რომლის გამოც, ვიცით, რომ ბევრ ტალახს ისვრიან ჩვენი მიმართულებით, თუმცა ამის არ გვეშინია. ჩვენ ვერავინ დაგვაშინებს, რადგან ვმოქმედებთ ერთადერთი ინტერესიდან გამომდინარე, რასაც საქართველოს უმთავრესი სახელმწიფოებრივი ინტერესი ჰქვია! მოვუწოდებ ჩვენს საზოგადოებას, საქართველოს ყველა მოქალაქეს, გაეცნონ ჩვენს ინიციატივას, კარგად დაფიქრდნენ და დაგვიჭირონ მხარი როგორც ხელმოწერების შეგროვებაში, ისე საპარლამენტო არჩევნების დღეს. იმედი მაქვს, რომ აქტივობა იქნება დიდი. სწორედ ეს არჩევნები განაპირობებს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი შვილების ხვალინდელ დღეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შემოხაზავს №3-ს და ჩვენს თანაგუნდელებს მოგვცემს საშუალებას, ქვეყანა რეალურად თავისუფალი, დემოკრატიული, სტაბილური გახდეს და ჩვენი მოსახლეობა ერთხელ და სამუდამოდ გამოვიყვანოთ იმ უკიდურესად დუხჭირი ყოფიდან, რომელშიც დღემდე ამყოფებენ“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის განცხადებით, საქართველოს მიერ უბლოკო სტატუსის გამოცხადება იქნება ქვეყნის უმთავრესი პრობლემების მოგვარების მთავარი გარანტია.

# სვანეთი საპროტესტო აქციებით იმუქრება

შორენა მარსაგიშვილი

ამ თვეში სვანეთში ნენსკრაჰესის მშენებლობა იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ არაერთხელ გამოხატა პროტესტი, ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს. დათმობაზე არც მოსახლეობა მიდის. ცნობისათვის, ხელისუფლება სვანეთში 35 ჰესის აშენებას აპირებს, რაც, ეკოლოგების განმარტებით, სვანეთისთვის კატასტროფა იქნება.

გუშინ, 3 ივლისს, საერთო სასვანეთო კრება „ლალხორი“ ჩატარდა, რომელსაც მესტიის რაიონის სხვადასხვა თემისა და თბილისიდან ჩასული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჭუბერში ცოტნე გამსახურდიაც იმყოფებოდა, რომელიც ჰესების მიმართულებით აქტიური ბრძოლით გამოირჩევა.

კრების მონაწილეებმა ჰესების მშენებლობა გააპროტესტეს. მათი თქმით, თუ ჰესების მშენებლობის შესწავლა არ მოხდება და ხალხის აზრს ანგარიშს არ გაუწევენ, ისინი პერმანენტულ აქციებს გამართავენ.

– ეს ქვეყნისა და სვანეთის დამანგრეველი პროექტებია. საუბარი ხუდონსა და ნენსკრაზეა, რაც სვანეთის დატბორვასა და ამ სამოთხის დანგრევას გამოიწვევს. ხალხი მოითხოვს, ამის გაკეთება შეწყდეს. ხელისუფლება, კომპანიები და მათი კონტრაქტორები შეგნებულად ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ თითქოს ეს ხალხი კომპენსაციაზე ვაჭრობს. არადა, ისინი მხოლოდ საკუთარ მიწა-წყალს იცავენ, – განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ.

მისი თქმით, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, მტკიცებულებებით გამყარებული, სადაც წერია, რომ ეს პროექტები გეოლოგიური, სეისმური, სოციალური და ეკონომიკური დასაბუთების გარეშე ხორციელდება მავანის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

– არავინ დაგაჯეროთ, რომ ამას ქვეყნის ინტერესებთან რამე საერთო აქვს, – აღნიშნა გამსახურდიამ.

მომდევნო საპროტესტო აქცია, სავარაუდოდ, ყაზბეგში გაიმართება, სადაც ხელისუფლება 14 ჰესის აშენებას აპირებს. უკვე აშენებული 3 ჰესიდან ერთმა მდინარე ბროლისწყალი საერთოდ გააქრო. ხოლო ორს – დარიალიჰესსა და ლარსიჰესს – მდინარე თერგი უქმნის პრობლემებს.

ივნისის დამლევს ადიდებულმა თერგმა ლარსიჰესი სერიოზულად დააზარალა. ეკოლოგების განმარტებით, დარიალის ხეობაში გახშირებული მეწყრები სწორედ ჰესების მშენებლობას უკავშირდება.

ჰესების გარდა, ყაზბეგში პრობლემას მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებიც იწვევს, რომლებიც დასახლებულ პუნქტებზე უნდა გაატარონ.



ამ საკითხზე ყაზბეგში უკვე რამდენიმე აქცია გაიმართა. ერთ-ერთი აქციის დროს მაჟორიტარი დეპუტატის ძმაც კი დააკავეს. იმავე აქციაზე მოსახლეობას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კახა კალაძის მოადგილე ილია ელოშვილმა.

ეს ფაქტი ნაციონალებმა რატომღაც არ შეიმჩნიეს. გავრცელებული ინფორმაციით, ყაზბეგშიც და სვანეთშიც ჰესების მშენებლობის საქმეში ძველი და ახალი ხელისუფლებები ერთად არიან.

ჰესიანობა ნაციონალების დროს დაიწყო, „ქართულმა ოცნებამ“ კი მას ახალი სიცოცხლე შემატა. არადა, მათ საარჩევნო დაპირებებში პირდაპირ ეწერა, რომ ისინი გიგანტურ ჰესებზე უარს ამბობდნენ.



# დავით ნარმანია: „მერიაში დოკუმენტების გაყალბების ფაქტს მონიტორინგის სამსახური სწავლობს“

თბილისის მერი დავით ნარმანია თბილისის მერიაში 2014 წლის 1 დეკემბერს გამოცხადებული საჯარო მოხელეთა კონკურსის დოკუმენტების გაყალბების შესაძლო ფაქტს ეხმაურება. დავით ნარმანიას თქმით, მისი დავალებით საკითხს მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური სწავლობს, ამასთან, ნარმანიას განცხადებით, საქმე სასამართლოშია და, თუ რომელიმე პირის ბრალეულობა გამოიკვეთება, მერია ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– საკითხი სასამართლოშია და, შესაბამისად, ჩვენ დაველოდებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, ჩემი დავალებით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური ასევე სწავლობს აღნიშნულ საკითხს. როგორც კი იქნება შესწავლის შედეგები, აუცილებლად გაგაგებინებთ. გამოძიება დაადგენს, თუ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და, რასაკვირველია, მივიღებთ ადეკვატურ გადაწყვეტილებას, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით ნარმანიამ.

შეგახსენებთ, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო თბილისის მერიაში 2014 წლის 1 დეკემბერს გამოცხადებული საჯარო მოხელეთა კონკურსის დოკუმენტაციაში ხელმოწერების გაყალბებაზე მიუთითებს. ორგანიზაციის განცხადებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მერიის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საბოლოო შეფასების ფორმაზე დატანილი მერის იმდროინდელი მოადგილის ალუდა გოგლიჩიძის ხელმოწერა გაყალბებულია.

მედიანიუსი

# რომან გოცირიძე: „სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შემოსავლების გეგმას 208.000.000 ლარი დააკლდა“



ნაციონალური მოძრაობის წევრ რომან გოცირიძის განაცხადებით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა ჩავარდა – შემოსავლების 6 თვის გეგმა 208.000.000 ლარით გაირღვა, ხოლო რაც შეეხება ხარჯების ნაწილს, გოცირიძის თქმით, 245.000.000 ლარით ნაკლები დაიხარჯა, ვიდრე ბიუჯეტში დაგეგმილი იყო. ამის შესახებ რომან გოცირიძემ ბრიფინგზე განაცხადა და ბიუჯეტის გეგმის ვერშესრულების მიზეზად სუსტი ეკონომიკური ზრდა და მთავრობის მიერ წარმოებული არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა დაასახელა.

– მიუხედავად მთავრობის ოპტიმიზმისა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2016 წლის იანვარ-მაისში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ მხოლოდ 2,9 პროცენტი შეადგინა. წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა გარდა ფისკალური, ასევე მონეტარული არასტაბილურობითაც, რაც ლარის კურსის გაუფასურებასა და მის მკვეთრ რყევებში გამოიხატა. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 4,636 მილიარდი ლარის ოდენობით, ფაქტობრივად, ბიუჯეტში შემოვიდა 4,428 მილიარდი ლარი. დანაკლისმა 208 მილიონი ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის 6 თვის შემოსავლების მოცულობა 366 მილიონი ლარით ნაკლებია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც მაშინ 4,794 მილიარდ ლარს შეადგენდა. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები დაგეგმილი იყო 4,924 მილიარდი ლარის ოდენობით, ფაქტობრივად, დაიხარჯა 4, 679 მილიონი ლარი, რაც 245 მილიონი ლარით ნაკლებია დაგეგმილთან შედარებით, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისი თქმით, ერთადერთი, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა.

– ერთადერთი, რაც შესრულდა 2016 წლის პირველ ნახევარში, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა, რომელიც 29 მილიონით მეტია დაგეგმილზე (ნაცვლად 3.716 მილიარდისა, შემოვიდა 3,745 მილიარდი ლარი). ბიუჯეტი არ შეიცავს მხოლოდ საგადასახადო შემოსავლებს და მისი ერთი ნაწილის გეგმის გადაჭარბებით შესრულება ვერ ანეიტრალებს მთლიანი ჩამორჩენის ნეგატიურ ეფექტს, – აღნიშნა გოცირიძემ.

მედიანიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გაკოტრების პირას მყოფმა ქართველმა გამომცემლებმა სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს

**1896 წელს პარიზში დაარსდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია.**

**გაერთიანების უპირველესი მიზანი მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებების აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფა გახლდათ.**

**გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია დღემდე ინარჩუნებს აღნიშნულ ფუნქციას. საავტორო უფლებების პოპულარიზაცია და დაცვა, ბეჭდვისა და გამოხატვის თავისუფლება მისი საქმიანობის უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენს. იგი იცავს გამომცემელთა უფლებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

**ასოციაციის მთავარი ოფისი ამჟამად მდებარეობს ჟენევაში და მასში გაერთიანებულია 50 ქვეყნის 60-ზე მეტი ორგანიზაცია ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის, აფრიკის, აზიის კონტინენტებიდან.**

**2016 წლის 30 ივნისს გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც 50 ქვეყნის 60-ზე მეტ ორგანიზაციას დაეგზავნა.**

**გთავაზობთ ამ სტატიას.**





ოთხმა ქართულმა გამომცემლობამ 2016 წლის ივნისში სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა, როგორც გადარჩენის უკანასკნელი იმედი.

„ინტელექტმა", „დიოგენემ", „არტანუჯმა" და „ლოგოს პრესმა", რომლებიც გასულ წლებში ჯერ კიდევ ძლიერ ქართულ საგამომცემლო ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, გააერთიანეს საკუთარი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ 2013 წლის ბრძანებულებისთვის, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებამ მიითვისა მათი სახელმძღვანელოების ელექტრონული ფაილები ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაბეჭდა წიგნები და დაარიგა უფასოდ.

ქართველი გამომცემლები და გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წევრი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია მიესალმებიან სკოლებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების პროგრამას, მაგრამ, ამასთან, ხაზს უსვამენ, რომ მთავრობის პროექტით უხეშად ირღვევა მათი საავტორო უფლებები.

2014 და 2015 წლებში გამომცემლებმა ცადეს, ბრძანებულება გაეპროტესტებინათ ქართული სასამართლოს პირველ და მეორე ინსტანციებში, მაგრამ საქმის ზედაპირული განხილვის შემდეგ მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის გასაჩივრების მესამე ეტაპზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამომცემლებს საქმის მოსმენაზეც კი უარი უთხრა.

გამომცემლების ბოლო იმედი ემყარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში, სადაც მათ 17 ივნისს შეიტანეს საჩივარი 2013 წლის ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით და ასევე მოსთხოვეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზარალის ანაზღაურება 14 მილიონი ევროს ოდენობით. ისინი ასევე ითხოვენ, არალეგალურად სცნონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ბრძანებულების შემდგომი ქმედებები.

სტრასბურის სასამართლო ამ წლის ბოლომდე უნდა გამოეხმაუროს აღნიშნულ სარჩელს.

ამჟამად გამომცემელთა საწყობებში დევს ერთი მილიონი სახელმძღვანელო, რომელსაც მტვერი ედება, იმიტომ, რომ ხელისუფლება ხელს უშლის მათ გაყიდვას თავისუფალ ბაზარზე. უფრო მეტიც, ხელისუფლება უარს ამბობს, შეიძინოს დასაწყობებული ეგზემპლარები, მიუხედავად დიდი ფასდაკლებებისა, რომელთაც გამომცემლები სთავაზობენ და სანაცვლოდ ახალ სახელმძღვანელოებს თავად ბეჭდავს.

ეს ერთი მილიონი ეგზემპლარი რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა. 2016 წელს ამ წიგნების თითქმის ნახევარს (I-VI კლასები) გრიფირების ვადა გასდის, ხოლო მეორე ნახევარს (VII-XII კლასები) ვადა 2017 წელს ეწურება. თუკი ხელისუფლება წელსვე არ შეისყიდის ამ ეგზემპლარებს, გამომცემლები კიდევ უფრო გამანადგურებელი ფინანსური დანაკარგის წინაშე აღმოჩნდებიან.

საქართველოს **წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გვანცა ჯობავამ** განაცხადა:

– ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, საბოლოოდ გაწირავს სახელმძღვანელოების გამომცემლებს და ამ ერთ მილიონ სახელმძღვანელოს სამუდამოდ გამოუსადეგრად აქცევს თუ მიიღებს ერთ სამართლიან გადაწყვეტილებას მაინც ბოლო სამი წლის განმავლობაში და შეისყიდის სახელმძღვანელოებს უშუალოდ გამომცემლებისგან.

არსებული ინფორმაციით, ქართულმა გამომცემლობებმა, რომლებსაც სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარზე დიდი წილი აქვთ, „უფასო სახელმძღვანელოების" შემოსავლის 80%-მდე დაკარგეს. რამდენიმე გამომცემლობა, რომლებიც მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებს გამოსცემდნენ, საერთოდ დაიხურა.

ჩიხში შევიდა სახელმძღვანელოების განვითარების პროცესი: ბოლო სამი წლის განმავლობაში მათი გაუმჯობესებისთვის არაფერი გაკეთებულა. მაშინ, როდესაც 2013 წლამდე ავტორები და გამომცემლები სახელმძღვანელოების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე სისტემატიურ, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ.

– პროექტის სოციალური დატვირთვიდან გამომდინარე, „უფასო სახელმძღვანელოების" პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხელისუფლებამ თავისი პოპულისტური გადაწყვეტილება შეფუთა, როგორც ბრძოლა ხარბი გამომცემლების წინააღმდეგ, რომლებიც ღარიბი ხალხის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამომცემლების ლეგიტიმური ბიზნესი წარმოჩენილი იყო, როგორც ამორალური საქმიანობა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ბიზნესის მიღმა დატოვება შეიფუთა, როგორც სამართლიანი მსხვერპლშეწირვა, – აღნიშნავს გვანცა ჯობავა.

მისივე თქმით, დღესდღეობით მთელი ქართული საგამომცემლო ინდუსტრია სერიოზულ საფრთხეშია: კოტრდებიან გამომცემლები, იხურება წიგნის მაღაზიები, იზრდება წიგნის ფასი და ძლიერდება შავი ბაზარი. ამასთან, სახელმძღვანელოების ხარისხი ეცემა და ერთ დროს ჯანსაღი ურთიერთობა გამომცემლებსა და სახელმწიფოს შორის მკაფიოდ გამოკვეთილ უნდობლობაში გადაიზარდა.

გამომცემლები და სახელმძღვანელოების ავტორები ყოველწლიურად მთელი ქვეყნის მასშტაბით ხვდებოდნენ პედაგოგებს, უტარებდნენ ტრენინგებს, აცნობდნენ ახალი სახელმძღვანელოების სპეციფიკას, პასუხობდნენ მათ შეკითხვებს, ზრდიდნენ პედაგოგების კვალიფიკაციას.

ერთ საგანში ალტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობის პირობებში ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი პედაგოგისთვის მოეწონებინათ მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო.

როიალტის პრინციპით მუშაობის სპეციფიკა ავტორებში ბადებდა დიდ მოტივაციას მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

ამ ყველაფერს წერტილი დაესვა. გამომცემლები ავტორებს თითო გაყიდული წიგნიდან საშუალოდ 1 ევროს უხდიდნენ, დღეს კი განათლების სამინისტრო მათ თითო უფასოდ გაცემული წიგნისთვის სიმბოლურად ნახევარ ცენტს ურიცხავს.

## ქართული საგამომცემლო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მოვლენები

1995: საქართველომ მიიღო კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან; ხელი მოეწერა ბერნის კონვენციას;

1996: დაფუძნდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია;

1997: დაფუძნდა ISBN-ის სააგენტო; ჩატარდა თბილისის წიგნის პირველი ფესტივალი;

2000: საქართველო შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას;

2007: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია შეუერთდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციას;

2013: საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების პროგრამის შესახებ.

◆ ◆ ◆

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის სახელმძღვანელოების გამომცემელთა ფორუმი და მისი წევრი საერთაშორისო გამომცემლები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს საქართველოში შექმნილ სიტუაციას და კვლავაც გააგრძელებენ საქმის მიმდინარეობის მონიტორინგს, როგორც კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პოზიციას დააფიქსირებს საქმის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით.

# საბითუმო ბაზარში ატამი 20 თეთრად იყიდება

**კახეთში ერთი კილოგრამი ხარისხიანი ატმის გასაყიდი ფასი 20 თეთრიდან იწყება, თუმცა ფერმერებს მისი რეალიზაცია მაინც ძალიან უჭირთ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილის განცხადებით, პრობლემა გასულ წელთან შედარებით ატმის თითქმის გაორმაგებულმა მოსავალმა და დარიალის ხეობაში ღვარცოფის შედეგად რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ჩაკეტვამ გამოიწვია. 2015 წელს ხარისხიანი ატმის გასაყიდი ფასი კახეთში 60 თეთრიდან იწყებოდა და 3 ლარს აღწევდა.**



სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებ არსენა ტურაშვილს ატმის ბაღი 8 ჰექტარზე აქვს გაშენებული. ფერმერი ამბობს, რომ ერთი ჰექტარი ატმის მოვლა 4-5 ათას ლარამდე ჯდება.ამას ემატება კრეფისადა ტრანსპორტირების ხარჯიც. მისივე თქმით, კარგი მოსავლის შემთხვევაში,ერთ ჰექტარზე საშუალოდ 20-25 ტონა ატამი იკრიფება.

– ყველა ტექნოლოგიური პროცესი მაქვს დაცული. შეწამვლას, დამუშავებას, ყველაფერს დაქირავებული ხალხით ვაკეთებ. ერთი კილოგრამი ატმის მოყვანა თითქმის 25-30 თეთრი მიჯდება. კარგი ხარისხის ატამია. ეს 40 თეთრადაც რომ გავყიდო, რა მრჩება? არაფერი. ასეთ ატამს გასულ წელს 80 თეთრად და 1 ლარად ვყიდდით, – აღნიშნა არსენა ტურაშვილმა.

**ციცინო ხუციშვილი:**

– 20 თეთრად რომ ატამს მისცემ, გადაგირჩევს, ნახევარს დაგიტოვებს და ნახევარს წაიღებს.ეს გაყიდვა არ არის. ტირის ხალხი. მთელი ცხოვრება გლეხი ამას ელოდება, ესეც უნდა გადაყაროს და დარჩეს მშიერი და ცარიელი.

**ირაკლი მიჩიტაშვილი:**

– 20-30 თეთრი დღეს რა ღირს ბაზარში? მასხრად გვიგდებენ. ჩვენ სახელმწიფო არა გვაქვს. ერთი კილოგრამი ატამი 1 ლარი მაინც უნდა ღირდეს, რომ ამან თავისი თავიც შეინახოს და მეპატრონეც.

გლეხებს განსაკუთრებით დაბალი ხარისხის ატმის გაყიდვა უჭირთ. ზოგიერთმა მებაღემ ატმის დაკრეფაზეც უარი თქვა, რადგან,მათი თქმით, მკრეფავებისა და ტრანსპორტირების ხარჯებსაც ველარ ანაზღაურებდნენ.

ფერმერები კახეთში ხილის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას ითხოვენ, რადგან, მათი თქმით, ჩუმლაყის სამაცივრე მეურნეობა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას იღებს.

სოფელ ჩუმლაყში ხილის შემნახველ საწარმოში, რომელიც „შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში გაიხსნა, „ქართული ხილის კომპანია" მაღალი ხარისხის ვაშლატამას – 60 თეთრად, ატამს კი 70 თეთრად იბარებს.

კომპანიის წარმომადგენელმა კახაბერ ქიტიამ კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრა, რომ საწარმოში 25 თეთრად ე.წ. მესამე ხარისხის ატმის მიღებაც ხდება, რომელსაც შემდეგ წვენების მწარმოებელი კომპანია „კულა" გადაამუშავებს.

– ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქარხანაში მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ატამს ვიღებთ, სიმართლეს არ შეესაბამება. დღევანდელი მონაცემებით, ვაშლატამაზე 60 თეთრს, ატამზე კი 70 თეთრს ვიხდით. ლაპარაკია ნორმალური და უმაღლესი ხარისხის პროდუქციაზე. შპს „კულას" დირექტორმა გამომიგზავნა მანქანები და უხარისხო ატამს 25 თეთრად იღებენ. წელს მიღებული 300 ტონა ატმიდან 200 ტონა ექსპორტზე უკვე გადატვირთულია. საწარმო 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და სეზონზე 3 000 ტონა ატმის მიღებას ვგეგმავთ,– განაცხადა „ქართული ხილის კომპანიის" მენეჯერმა კახაბერ ქიტიამ.

რეალიზატორების ნაწილს ატამი რუსეთში აზერბაიჯანის გავლით გააქვს, რადგან 23 ივნისს დარიალის ხეობაში მომხდარი სტიქიის შედეგად რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა დაზიანდა და მოძრაობა ჩაკეტილია. რეალიზატორების თქმით, მარშრუტის შეცვლამ ხარჯები გაზარდა. ამასთან, მათივე ინფორმაციით, საბაჟოზე ქართული მხარე უფლებას არ აძლევთ ატმის ჩასაწყობად საჭირო მუყაოს ყუთები აზერბაიჯანიდან შემოიტანონ, მუყაოს ყუთი აზერბაიჯანში 1.50 ლარი ღირს, საქართველოში კი 3 ლარი.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გოჩა ცოფურაშვილის განცხადებით, ატმის ფასს ბაზარი არეგულირებს და სახელმწიფო ვერ ჩაერევა. მისივე თქმით, დღეისათვის არსებული ფასების შენარჩუნების შემთხვევაში მებაღეები არ იზარალებენ.

– საშუალო მაჩვენებლებიც რომ ავიღოთ, მაინც ნორმალურ მოგებას დატოვებს დღევანდელი ფასები. თუ ვიღაც არ უვლის, მე მესმის, რომ გადავარდნილიც შეიძლება იყოს. ველოდებით, რომ 8-10 დღეში ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტი გაიხსნება და უფრო მეტი მოთხოვნა გაჩნდება. ყველა ტექნიკური საკითხი ჩვენ მოგვარებული გვაქვს, – განაცხადა გოჩა ცოფურაშვილმა.

მისივე თქმით, ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის ოფისში შექმნილია ჯგუფი, რომელიც ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. „აღნიშნული ჯგუფი „ერთი ფანჯრის" პრინციპით უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და გაცემას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის 1 ივნისიდან 28 ივნისამდე ექსპორტირებული ატმის მოცულობამ 942 ტონა შეადგინა. მათივე თქმით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელი 52 ტონას შეადგენდა.

ატმის ექსპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში (61%), აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (25%), ყაზახეთის რესპუბლიკაში (11%), ასევე სომხეთსა და უკრაინაში ხორციელდება. დღეის მონაცემებით, დაახლოებით 5.000 ტონამდე ატამი ადგილობრივ ბაზარზეა რეალიზებული.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს კახეთში 15.200 ტონა ატმის მოსავალი მოვიდა. აქედან 4.400 ტონა ატამი ექსპორტზე გავიდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს კახეთში 30 ათას ტონაზე მეტი ატმის მოსავალია მოსალოდნელი.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***

საქმე №010210616001375658
№2/1585-16

2583422596137
www.info.court.ge

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**
**საჯარო შეტყობინების შესახებ**

**01.06.2016 წელი** **ქ. ბათუმი**

### ბათუმის საქალაქო სასამართლო მოსამართლე თამარ ბურჯანაძე

**განმცხადებელი** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება– გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო;
**მოთხოვნის არსი:** ქონების უპატრონოდ ცნობა;

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ბურჯანაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2/1585-16) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობი ნივთებია თევზსაჭერი იარაღი:
3.1. 06.10.2015წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 70მ. თვლისზომა 30X30 მმ.
3.2.25.10.2015წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 250მ. თვლისზომა 150X150 მმ.
3.3. 05.11.2015წ. მახინჯაურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 1,5მ. თვლისზომა 22 მმ.
3.4. 05.11.2015წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 150მ. თვლისზომა 33X33 მმ.
3.5. 06.11.2015წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან მოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 2.5 მ. თვლისზომა 30 მმ.
3.6. 06.11.2015წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან მოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 1.5მ. თვალის თვლის ზომა 160მმ.
3.7. 07.11.2015წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან მოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 1მ. თვალის თვლის ზომა 18მმ.
3.8. 09.11.2015წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ანამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 1.8მ. თვალის თვლის ზომა 145მმ.
3.9. 20.11.2015წ. სუფსის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 200მ. თვლისზომა 26X26 მმ. 2. 150მ. თვლის ზომა 30X30 მმ. 2. 150მ. თვლის ზომა 26X26მმ.
3.10. 22.11.2015წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ანამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 150მ. თვალის თვლის ზომა 30X30 მმ.
3.11. 24.11.2015წ. ურეკის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 150სმ. თვლისზომა 26/26 მმ.
3.12. 25.11.2015წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართი ბადე, პარამეტრებით: 250 მ. თვლისზომა 160X160 მმ.
3.13. 02.12.2015წ. ქ. ბათუმის ნავსადგურის მე-10 ნავმისადგომთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგანე 1მ. თვლის ზომა 20მმ.
3.14. 11.12.2015წ. განმუხურისა და მალთაყვას საზღვაო რაიონებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 120მ. თვლისზომა 30X30 მმ. 2. 120მ. თვლის ზომა 30X30 მმ. 3. 60მ. თვლის ზომა 30X30 მმ. 4. 50მ. თვლის ზომა 30X30 მმ
3.15. 13.12.2015წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 30მ. თვლის ზომა 30/30მმ.
3.16. 18.12.2015წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 60მ. თვლის ზომა 30X30 მმ.
3.17. 22.01.2016წ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის არასარეჟიმო ღია ტერიტორიაზე, ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 100მ. თვლის ზომა 30X30 მმ. ასევე, 50კგ. კეფალის სახეობის თევზი.

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობა“-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6.განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე:** **თამარ ბურჯანაძე**

# 2 მსხვერპლი 2 წლის წინ ჩაბარებული ყურძნის ფულის მიუღებლობის გამო




საკითხი, რომლითაც პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე დაინტერესდა და სოფლის მეურნეობის მინისტრს სასწრაფო რეაგირება დაავალა, საგარეჯოს სოფლებში მცხოვრები მევენახეებისთვის 2014 წელს ჩაბარებული ყურძნის ფულის გადაუხდელობას ეხება. დაზარალებული მევენახეების თქმით, ორი წლის განმავლობაში დაგროვილი ვალების გადახდის მიზნით რამდენიმე მათგანი იძულებული გახდა, საცხოვრებელი სახლი გაეყიდა, ორი მევენახე კი ნერვიულობის შედეგად გარდაიცვალა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ხაშმში, მანავში, კაკაბეთში, მზისგულში, თოხლიაურში, ზემო და ქვემო ჩაილურსა და ვერხვიანში მცხოვრებმა 50-ზე მეტმა მევენახემ 2014 წელს ყურძენი შპს „ელიკას“ ჩააბარა. მევენახეების თქმით, შპს „ელიკაში“ ყურძნის ჩასაბარებლად ისინი სოფლების რწმუნებულებმა რთვლის საკოორდინაციო შტაბთან შეთანხმებით გაგზავნეს, შტაბს კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო კურირებდა. ამიტომ მევენახეებს „ელიკას“ საქმიანობა ეჭვის ქვეშ არ დაუყენებიათ. მევენახეებმა კომპანიისგან გადასახდელი თანხის გარდა, ვერც სახელმწიფო სუბსიდია მიიღეს, რადგან 2014 წელს სახელმწიფო ყურძენზე გადასახდელ სუბსიდიას ღვინის საწარმოებს ურიცხავდა, საწარმოები კი ყურძნის რაოდენობის მიხედვით სუბსიდიას ძირითად თანხასთან ერთად გასცემდნენ.

– გამგებლის წარმომადგენლებმა დაგვიბარეს ყველა თავის სოფლებში, მოგვცეს ცნობა, ამ მისამართზე, შპს „ელიკა“, სახელიგვარი – ელიზბარ დათუაშვილი, წაიღებთ, ამ კაცს ჩააბარებთ ყურძენს და თანხას მიიღებთო. ხელისუფლების წარმომადგენლების მითითებით წავედით და ჩავაბარეთ, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა დაზარალებულმა გენადი ჯავახიშვილმა.

შპს „ელიკა“ 2014 წელს კახეთში ყურძენს გურჯაანის რაიონის სოფლებში მუკუზანსა და ჩუმლაყში იბარებდა. ყურძნის ჩაბარების სანაცვლოდ კომპანიამ გლეხებს ქვითრები მისცა, რომლითაც იმავე წლის 15 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე ყურძნის საფასური უნდა გაენაღდებინა. ამის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელმა ელიზბარ დათუაშვილმა საქართველო დატოვა და უკრაინაში წავიდა, მევენახეები კი თანხის გარეშე დარჩნენ. 50-ზე მეტი მევენახისთვის გადასახდელი თანხა 200 000 ლარს აღემატება.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს თაღლითობას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით.

2016 წლის დასაწყისში თელავის რაიონულმა სასამართლომ ელიზბარ დათუაშვილი დამნაშავედ ცნო და დაუსწრებლად 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა, შპს „ელიკას“ საკუთრებაში არსებული 50 ტონამდე ღვინო კი დააყადაღა. ელიზბარ დათუაშვილის ადვოკატმა განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა.

მევენახეები ამბობენ, რომ მათთვის ელიზბარ დათუაშვილის დასჯა მეორეხარისხოვანია და მთავარი მოთხოვნა ყურძნის ფულის გადახდაა.

– ჩვენ იმის დასჯა კი არ გვაინტერესებს, გვინდა რომ თანხა დაგვიბრუნონ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს აქვთ ქვითრებზე ხელი მოწერილი, ისინი ესწრებოდნენ ყურძნის ჩაბარებას, მათ გარეშე ქარხანა არ იხსნებოდა. მათთან იყო ყველაფერი შეთანხმებული. ამ კაცთან რომ გაგვგზავნეს, ეგეც მათი ამბავი იყო, თორემ ჩვენ არ ვიცნობით. თანხა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გადაგვიხადოს, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს პატარა ჩაილურში მცხოვრებმა ნიკო ღვინაშვილმა.

მისივე თქმით, გლეხებს, რომლებიც ბანკიდან აღებული კრედიტების დაფარვას მოსავლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით გეგმავდნენ, პრობლემები შეექმნათ და ნერვიულობის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა კიდეც.

– 10 ტონამდე ყურძენი ჩავაბარე დათუაშვილს, 9 500 ლარი მქონდა ასაღები. ბანკიდან კრედიტი მქონდა გამოტანილი და ყურძნის ფულით ვაპირებდი გადახდას. ეს ფული რომ ვერ ავიღე, სახლი გავყიდე და ვალი ისე დავფარე. მანავში ორი კაცი გარდაიცვალა ამის გამო, ერთს 23.000 ლარი ჰქონდა ასაღები, მეორეს 19.000, – აღნიშნა ნიკო ღვინაშვილმა.

– 2014 წლის 1 დეკემბრამდე მოსაცემი თანხა დღესაც არ მიმიღია. 2 წელია დავდივარ და სამართალი ვერ ვიპოვე, – აღნიშნა ვაჟა რუსიშვილმა.

დაზარალებულმა მევენახეებმა ორი წლის განმავლობაში არაერთხელ მიმართეს დახმარებისთვის საგარეჯოს გამგებელს, კახეთის გუბერნატორს, მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს მთავრობას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ პასუხიც ვერ მიიღეს.

ამ საქმით დაინტერესების შესახებ პრემიერ – მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა:

– ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ საგარეჯოში შარშანდელი ჩანაბარები ყურძნის თანხა მიითვისა რომელიღაც ბიზნესმენმა და თანხა არ არის მისული მევენახემდე. მინდა, სოფლის მეურნეობის მინისტრს ვთხოვო, ეს საკითხი მაქსიმალურად მოიკვლიოთ და თუ საჭირო იქნება ჩავრთოთ შესაბამისი უწყებები. ის, რომ სახელმწიფო საკმაოდ დეფიციტური რესურსის გამონახვას ახერხებს, დავასუბსიდიროთ ყურძნის ჩაბარება, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ვიღაცამ ბოროტად ისარგებლოს ამით. გთხოვთ, მაქსიმალურად მოკლე დროში გამოვიძიოთ ეს საკითხი და, თუ საჭირო იქნება, სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩართულობა არის განხილვადი, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ უპასუხა, რომ კომპანიას, რომელმაც მევენახეებისგან ყურძენი მიიღო, არ გააჩნია აქტივები, რომელიც დაზარალებულებს დააკმაყოფილებს.

– 50-ზე მეტ მევენახეზეა საუბარი რამდენიმე სოფლიდან, 200 000 ლარზე მეტ თანხას ეხება საქმე. საბოლოო ჯამში იყო გამოძიება, იმ კომპანიას არ გააჩნია ის აქტივები, რომელიც დააკმაყოფილებს დაზარალებულ ადამიანებს. თქვენ დავალებას მივიღებთ და ვეცდებით გამოსავალი ვიპოვოთ ისე, რომ მინიმალური იყოს ის ზარალი, რაზეც დღეს არის საუბარი, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნულს „სამწუხარო ფაქტი“ უწოდა, რაზეც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს სამწუხარო კი არა, უფრო ამაზრზენი ფაქტია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 2014-2015 წლებში ჩაბარებული ყურძნის ფული სხვა კომპანიებისგან დღემდე არ მიუღია კახეთის სხვა სოფლებში მცხოვრებ რამდენიმე მევენახესაც.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ვიდეომასალა გადაღებულია 2016 წლის იანვარში, როცა მევენახეების საქმეს თელავის სასამართლო განიხილავდა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# სტოლტენბერგი: „რუსეთი ნატოსთვის უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს“



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიის საფრთხე დღითიდღე იზრდება.

– ყირიმის ანექსიითა და დონბასის ომით რუსეთმა გვიჩვენა, რომ საზღვრების გადასინჯვისთვის ძალის გამოყენებაზეც უკან არ დაიხევს! დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალების გადაიარაღების პროცესი მიმდინარეობს, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს რუსეთთან კონფრონტაცია არ სურს, მაგრამ არც მის აგრესიასთან შეგუებას აპირებს.

– ვარშავის სამიტზე დაისახება კონკრეტული გეგმები რუსული აგრესიის განეიტრალებისათვის, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოსთვის მეორე საფრთხედ მან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობა დაასახელა.

# პუტინი: „ჩვენ ნეიტრალური ფინეთი გვინდა“



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ფინეთში ჩავიდა.

მოლაპარაკებები ფინეთის პრეზიდენტ საული ნიინისტესთან დაძაბულ ატმოსფეროში წარიმართა. პუტინმა გააკრიტიკა ფინეთის პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადება მისი ქვეყნის ნატოში შესაძლო გაწევრიანების თაობაზე.

– თუკი ფინეთი ნატოს წევრი მართლაც გახდება, ეჭვი მეპარება, რომ რუსეთის არმია ფინეთის საზღვრებისგან მოშორებულ პოზიციებზე დარჩეს, – თქვა პუტინმა.

ნიინისტემ ამაზე მიუგო, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა რუსული თვითმფრინავების მიერ ფინეთის საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები.

– ჩვენ საფრთხის წინაშე ვართ, – თქვა ფინეთის ლიდერმა და დაამატა, რომ ნატოში გაწევრიანების სურვილიც ამითაა განპირობებული.

– გულწრფელად აღშფოთებულ ვარ იმით, რომ ჩვენმა თვითმფრინავებმა ფინეთის საჰაერო სივრცე დაარღვიეს. გაძლევთ სიტყვას, ყველა, ვინც ეს ჩაიდინა, დაისჯება, – ასეთი იყო პუტინის პასუხი.

მან აღნიშნა, რომ რუსეთისთვის ნეიტრალური ფინეთის არსებობა მუდამ მნიშვნელოვანი იყო. თვით ცივი ომის ეპოქაშიც კი ფინეთის საზღვარზე პროვოკაციები არ ყოფილა. დღესაც რუსეთს სურს, მეზობლად ნეიტრალური ფინეთი ჰყავდეს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყნებს შორის კონფრონტაცია გარდაუვალია, – განუცხადა ფინეთის პრეზიდენტს პუტინმა.

# ბანგლადეში: თავდასხმა კაფეზე



ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში ისლამისტი ტერორისტები თავს დაესხნენ კაფეს და იქ მყოფი 20 ადამიანი მძევლად აიყვანეს.

ტერორისტებთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ ბანგლადეშის უშიშროების ძალებმა კაფეზე შეტევა განახორციელეს.

კაფეზე იერიშის შედეგად განადგურებულია 6 ტერორისტი. სროლის დროს დაიღუპა 13 მძევალი. მათ შორის არიან შრი-ლანკის, იაპონიის, იტალიის, სამხრეთ კორეის მოქალაქეებიც.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ბაღდადში ტერაქტების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა 172 შეადგინა

ბაღდადში მომხდარი ორმაგი ტერორისტული აქტის შედეგად გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობამ 172 შეადგინა. შემთხვევის შედეგად ბაღდადის, სულ მცირე, 100-მდე მცხოვრები მძიმედ დაშავდა.

2 ივლისს, გვიან ღამით, ბაღდადის ცენტრალურ რაიონ კარადაში, რომელიც შუაღამის შემდეგ ადამიანებით ივსება, მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი აფეთქება ერაყის დედაქალაქ ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში გაისმა, სადაც მოსახლეობის უმეტესობა შიიტია.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

# ჰილარი კლინტონი დაკითხეს

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პირადი ელექტროფოსტის გამოყენების ფაქტზე დაკითხა.

პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ გამოძიებისთვის ჩვენების მიცემა ჰილარი კლინტონის კეთილი ნების გამოვლენა იყო.



უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში კლინტონი უარყოფდა, რომ საკუთარი მაილის გამოყენებით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციას გადასცემდა.

ამის მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა საგამოძიებო ჯგუფი დარწმუნებულია, რომ კლინტონიც და მისი თანამშრომლებიც ინტერნეტუსაფრთხოებას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

ჰილარი კლინტონის ოპონენტები აღნიშნულ სკანდალს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას აქტიურად იყენებდნენ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საკითხით ხშირი მანიპულირება, შესაძლოა, პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატ დონალდ ტრამპისთვის საჩუქარი აღმოჩნდეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## კალეიდოსკოპი

### ორმეტრიანი თეძოების პატრონი ფულს ეროტიკული ვიდეოთი შოულობს

ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრები ქალი, რომელიც სიმსუქნისგან იტანჯება, თვეში ორი ათას დოლარზე მეტს გამოიმუშავებს ქალების ფუმფულა სხეულების მოყვარულებისთვის განკუთვნილი ფასიანი ონლაინ-ტრანსლაციების წყალობით.



43 წლის ბობი-ჯო უესტლი 220 კილოგრამზე მეტს იწონის. ხუთი შვილის დედამ საკუთარი თავისთვის სურათებისა და ვიდეოს გადაღება სამი წლის წინ დაიწყო და ის ყოველდღე 50-მდე შეტყობინებას იღებს სხვადასხვა მამაკაცისგან, რომლებიც სთხოვენ მას, გაუგზავნოს საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათები ან ვიდეოჩანაწერები. ქალის თქმით, ამ საქმიანობას მისთვის მოაქვს არა მხოლოდ შემოსავალი, არამედ საკუთარი თავის რწმენაც.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უესტლი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი თეძოების მფლობელია. მისი გარშემოწერილობა 2,3 მეტრს შეადგენს.

### რიტა ორა შოუს წამყვანი გახდება

ბრიტანელი მომღერალი და მსახიობი რიტა ორა შოუს „ტოპმოდელი ამერიკულად“ წამყვანი გახდება. ამ შემთხვევაში საუბარია აშშ-ში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტელეპროგრამაზე.



22 სეზონის განმავლობაში გადაცემის უცვლელი წამყვანი იყო მოდელი ტაირა ბენქსი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის პროექტში აღმასრულებელი პროდიუსერის თანამდებობაზე დარჩება.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ორა „ოცნებათა სამყაროში“ მოხვდა და საშუალება მიეცა, თავისი ორი გატაცება – მოდა და მუსიკა – ერთმანეთს დაუკავშიროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# უელსი და გერმანია ნახევარფინალში გავიდნენ



**უელსი-ბელგია 3:1**

**ლილი. პიერ მორუა**

0:1 ნაინგოლანი (13), 1:1 ვილიამსი (31), 2:1 რობსონ-კანუ (55), 3:1 ვოუქსი (86)

**უელსი:** ჰენესი, ჩესტერი, ვილიამსი, დევისი, ტეილორი, განტერი, ლედლი (კინგი 78), ალენი, რემზი (კოლინზი 90), ბეილი, რობსონ-კანუ (ვოუქსი 80)

**ბელგია:** კურტუა, მუნიე, ალდერვაირელდი, დენაიერი, ჯ.ლუკაკუ (მერტენსი 75), ვიტცელი, ნაინგოლანი, დე ბრუინი, აზარი, კარასკო (ფელაინი 46), რ.ლუკაკუ (ბატშუაი 83)

ევროპის ჩემპიონატს სენსაციები ახასიათებს. ჯერ კიდევ გამოსული არ ვიყავით ისლანდიელთა ისტორიული შედეგის ემოციიდან, რომ უელსელებმაც იგივე შემოგვთავაზეს და ბელგიელებთან მატჩში დაამტკიცეს, რომ შესარჩევი ეტაპი ტყუილად არ ჩაუტარებიათ მძლავრად.

ვალიელებს ძალიან მობილური გუნდი ჰყავთ, გამოკვეთილი ლიდერებით და ეს ბელგიამ საკუთარ ტყავზე გამოცადა. მართალია, ბელგიას დაცვაში უამრავი დანაკლისი ჰქონდა, მაგრამ ვფიქრობთ, გუნდს უფრო თვითდაჯერების კომპლექსი ჰქონდა და ეს უკვე მეორე დიდი ტურნირია მიჰყვებათ.

ბელგია შეეცადა ძლიერი სტარტით მიეღო შედეგი და ეს თითქოს გამოუვიდათ, მაგრამ ადრიანმა გოლმა სულაც ვერ დააფრთხო უელსი, რომელმაც მალევე თავისი თამაში მოახვია მეტოქეს და ჩვენა, როგორ უნდა ითამაშო ჩამორჩენის შემდეგ, რაც ბელგიამ ვერ მოახერხა.



უელსი, რომელიც 2018 წლის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა, ნახევარფინალში გავიდა, ამასთან, კითხვები არ დაუტოვებია – ბეილი და კამპანია ევროპის საუკეთესო ოთხეულს იმსახურებს. თუმცა, რატომ მარტო ოთხეულს – ნახევარფინალში მეტოქედ პორტუგალია ჰყავს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **აარონ რემზი**

უელსელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელი ბელგიასთან მატჩში. თითქოს არ ჩანდა მოედანზე, მაგრამ რუზი კარდინალის როლს ასრულებდა. ფაქტი სახეზეა – 2 საგოლე პასი, მწვავე სვლები. ერთია, რემზი თავისიანებს ნახევარფინალში ვერ დაეხმარება...

**კრის კოულმენი:**

– ბელგია ტოპგუნდია, ჩვენ დაუჯერებლად ვითამაშეთ და ბელგია გავაოცეთ. პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლა იყო, შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხება და მერე – ბელგიის. ახლა პორტუგალიის ჯერია. გპირდებით, რომ ჩემი ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი ჩემპიონატის მოგებაზე არ იფიქრებენ. ისინი პორტუგალიაზე იფიქრებენ.

**მარკ ვილმოტსი:**

– უელსთან ისეთი შეცდომები დავუშვით, რომლებიც არ უნდა დაგვეშვა. შესაძლოა, საქმე შიშშია, რადგან მოთამაშეები ძალიან ახალგაზრდები არიან. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ.

**გერმანია-იტალია 1:1 (6:5პ)**

**ბორდო. სტად დე ბორდო**

1:0 იოზილი (65), 1:1 ბონუჩი (78პ)

**პენალტების სერია:** 0:1 ინსინიე, 1:1 კროოსი, 1:1 ძაძა (ააცილა), 1:1 მიულერი (მეკარე), 1:2 ბარძალი, 1:2 იოზილი (ძელი), 1:2 პელე (ააცილა), 2:2 დრაქსლერი, 2:2 ბონუჩი (მეკარე), 2:2 შვაინშტაიგერი (ააცილა), 2:3 ჯაკერინი, 3:3 ჰუმელსი, 3:4 პაროლო, 4:4 კიმიხი, 4:5 დე შილიო, 5:5 ბოატენგი, 5:5 დარმიანი (მეკარე), 6:5 ჰექტორი

**გერმანია:** ნოიერი, ჰიოვედესი, ბოატენგი, ჰუმელსი; კიმიხი ჰექტორი, ხედირა (შვაინშტაიგერი 16), კროოსი, იოზილი, ჰექტორი, მიულერი, გომესი (დრაქსლერი 72)

**იტალია:** ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი (ძაძა 120), ფლორენცი (დარმიანი 86), სტურარო, პაროლო, ჯაკერინი, დე შილიო, ედერი (ინსინიე 108), პელე

ვისაც შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი უყვარს, იტყვის რომ მოსაწყენი მატჩი იყო, მაგრამ ტაქტიკური განსწავლულობით, ორივე გუნდმა დიდებული თამაში აჩვენა. ტყუილად არ ითვლებიან იოაჰიმ ლიოვიცა და ანტონიო კონტეც ევროპირველობის უძლიერეს სპეციალისტებად და ეს ერთმანეთთან ჯახშიც დაამტკიცეს.

დრამატულობაც არ აკლდა მატჩს. გუნდებმა გოლები ძირითად დროში გაცვალეს, რის შემდეგ თამაშმა ჯერ დამატებით დროში გადაინაცვლა, შემდეგ – პენალტების სერიაში, რომელიც საოცრად დრამატული გამოდგა, სადაც უფრო ბუნდესნაკრებს გაუმართლა – ნახევარფინალის საგზურის ლიოვი გუნდს იონას ჰექტორმა მოუტანა. არადა, მანამდე პენალტები გააცუდეს გერმანელთა აღიარებულმა ლიდერებმა – მიულერმა, იოზილმა, შვაინშტაიგერმა.

პენალტების სერიაში მარცხი იტალიელებისთვის ოფიციალურ ტურნირებში მეშვიდე გახდა, რაც ანტირეკორდია. 6-ჯერ პენალტების სერიაში აქვს წაგებული არგენტინის, ინგლისის, ირანისა და მექსიკის ნაკრებებს. 5-ჯერ აქვს წაგებული ბრაზილიას, ჰოლანდიასა და ურუგვაის.

გერმანია ნახევარფინალში მეტოქეს ელოდება, იტალიის ნაკრები კი ახალ მწვრთნელს – კონტე კარიერას ლონდონის ჩელსიში გააგრძელებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **მანუელ ნოიერი**

შეიძლება ითქვას, რომ 120 წუთი ნოიერს თითქმის არ ჰქონია სამუშაო. სამაგიეროდ, პენალტების სერიაში ბრწყინვალეს წარმოჩნდა – 2 მოგერიებული პენალტი, რითიც გერმანია ნახევარფინალშია.

**იოაჰიმ ლიოვი:**

– ბოლო დარტყმამდე დრამატული მატჩი იყო. მსგავსი გამოცდილება 2006 წელს არგენტინის წინააღმდეგ უკვე მქონდა. ეს იყო ორივე მაღალი დონის გუნდის მხრიდან ტაქტიკურად კარგად შესრულებული თამაში. იტალია დაცვაში ძლიერია, თუმცა შევძელით შეტევების განხორციელება. პენალტით გოლის გაშვება უიღბლობა იყო. ვერ წარმოვიდგენდი, იტალია თამაშიდან თუ გაიტანდა გოლს. პენალტების შემსრულებლებზე გავლენა არ მომიხდენია. თითოეულმა ფეხბურთელმა თავად გადაწყვიტა დაერტყა თუ არა. როგორც წესია, კარგი შემსრულებლები გვყავს, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. კარგია, როდესაც ახალგაზრდა კიმიხსა და ჰექტორს ასეთ ეპიზოდში ნერვებმა არ უმტყუნათ.

**ანტონიო კონტე:**

– ვფიქრობ, ამ თაობას შეუძლია წინსვლა, რადგან ეს ამ ბიჭების უმრავლესობა დიდი ტურნირზე პირველად ასპარეზობდა და მათ ასეთი თამაშების პრაქტიკა სჭირდებათ. იტალიური ფეხბურთის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. ძლიერ მოწინააღმდეგესთან დავამტკიცეთ, რომ რთული მეტოქე ვართ და ჩვენი ოპონენტები დიდ პატივს გვცემენ. ეროვნულმა ნაკრებმა გულშემატკივრებს სტიმული მისცა და ვიმედოვნებ, ევროპის ჩემპიონატი ნაკრების მაისურის ღირსეულად ტარების სიყვარულს დატოვებს. ყველამ, ვინც კი ამ ბრწყინვალე ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ამ ხალხთან მუშაობა ჩემთვის პატივია. როდესაც ყველაფერს გაიღებ, არავინ გაკრიტიკებს. ბიჭებმა მაქსიმუმი გააკეთეს და, ვფიქრობ, ხალხმა ეს გააანალიზა. ბიჭებს უყვართ საკუთარი ქვეყანა და მაისური, რომელსაც ატარებენ.



## შედეგები

### 2 ივლისი

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-ლაცკო | 6:3,6:3,6:4 |
| ერბერი-მაიუ | 6:7,4:6,6:3,3:6 |
| კუზნეცოვი-ნიშიკორი | 5:7,3:6,5:7 |
| მილმანი-ნიურეი | 3:6,5:7,2:6 |
| ჯოკოვიჩი-კუერი | 6:7,1:6,6:3,6:7 |
| გოფინი-ისტომინი | 6:4,6:3,2:6,6:1 |
| ჯონსონი-დიმიტროვი | 6:7,7:6,6:4,6:2 |
| ბაუტისტა აგუტი-ტომიჩი | 2:6,4:6,4:6 |
| სოკი-რაონიჩი | 6;7,4:6,6:7 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჰალეპი-ბერტენსი | 6:4,6:3 |
| ვიტჰეფტი-კერბერი | 6;7,1;6 |
| დოი-ფრიდმანი | 7:6,6:3 |
| შაფარჟოვა-ჩეპელოვა | 4:6,6:1,12:10 |
| ლისიცკი-შვედოვა | 6:7,1:6 |
| კორნე-კიზი | 4:6,7:5,2:6 |
| ციბულკოვა-ბუშარი | 6:4,6:3 |
| ა.რადვანსკა-სინიაკოვა | 6:3,6:1 |

# ძალოსნობა: გიორგი ჩხეიძე მსოფლიოს ჩემპიონია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გიორგიმ საოცრად დრამატულ ბრძოლაში შეძლო მეტოქეების დამარცხება და დაამტკიცა, რომ ამ წონაში თავის ასაკში ყველაზე ძლიერია. აქვე გეტყვით, რომ ამავე წონაში მეხუთე ადგილზე კიდევ ერთი ქართველი დათო ხეცურიანი გავიდა.

თუმცა მოდით თანმიმდევრობით მივყვეთ. ატაცში ჩხეიძემ პირველ მისვლაზე 165 კილოგრამი შეუკვეთა, მისმა მთავარმა კონკურენტმა ირანელმა ალირეზა დეგჰანგანფაროკმა იგივე წონით ცადა ასპარეზობის დაწყება. 165 კილოგრამი გიორგიმ პირველივე ცდაზე აიღო, ირანელმა კი ამისათვის ორი ცდა გამოიყენა. საბოლოოდ ირანელმა 171 კილოგრამი დაძლია ჩხეიძემ კი 172 კგ და ატაცში პირველი ადგილი დაიკავა. ხეცურიანმა კი ატაცი 167 კილოგრამით დაასრულა.

აკვრაში ჩხეიძესა და ირანელს შორის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. ორივემ 207 კილოგრამით დაიწყო ასპარეზობა და ეს წონა ორივეს დაემორჩილა, შემდეგ ირანელმა 213 შეუკვეთა, გიორგიმაც ანალოგიურ წონას შეუტია, თუმცა პირველად ფიცარნაგზე ირანელი უნდა გასულიყო. მეორე ცდა ორივემ ჩააგდო, ირანელმა მესამე მისვლაზე შტანგა საერთოდ ვერ აკრა რაც ავტომატურად ჩხეიძის გამარჯვებას ნიშნავდა. გიორგიც შეეჭიდა 213 კილოგრამს პრაქტიკულად აწია კიდეც, მაგრამ წონა ვერ დააფიქსირა. მიუხედავად ამისა ქართველის ჩემპიონობას ეს ხელს ვერ შეუშლიდა.

ამ წონაში ბრინჯაოს მედალი რუსმა ნიკიტა სოლოვეიმ მოიგო, რომელმაც აკვრაში 210 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა, ატაცში კი მხოლოდ 165 კილოგრამი დაძლია.

**გიორგი ჩხეიძე:**

– დაუვიწყარი გრძნობაა სიამაყის, სიხარულის. მინდა ჩემს ახლობლებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს – ყველას მივულოცო ეს წარმატება.

***– ეს შედეგი ადრეც დაგიფიქსირებიათ?***

– ვარჯიშებზე კი ამიწევია, მაგრამ შეჯიბრებაზე ასეთი მაღალი შედეგი ჯერ არ ყოფილა.

***– ხეცურიანიც ახლოს იყო სამეულთან, მაგრამ, შეიძლება ითქვას, არ გაუმართლა?***

– ჩვენ ერთად ვვარჯიშობთ, ვმეგობრობთ და ვიცი, რომ ძლიერი ათლეტია. დათოც ბევრს მიაღწევს თავის წონაში.

***– მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვე. მომავალში რას აპირებთ?***

– ახლა ისევ შეკრებაზე გადავალთ თბილისში და სექტემბრამდე მუდმივად შეკრებები გვექნება – ბაზალეთზე, დუშეთში, ბაკურიანში. ფაქტობრივად, დასვენების დრო არც იქნება. სექტემბერში პოლონეთში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება და შევეცდები, წარმატებული სვლა იქაც გავაგრძელო. დანარჩენს მომავალი მიჩვენებს.

# მარადონა და სიმეონე მესის იცავენ

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ლიონელ მესიმ რამდენიმე დღის წინ სანაკრებო კარიერა დაასრულა. გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციაა.

ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დიეგო მარადონა ამჟამად საუკეთესო ფეხბურთელს, თავის თანამემამულე ლიონელ მესის იცავს.

**დიეგო მარადონა:**

– მოდით, შევეშვათ მესის. კმარა იმაზე საუბარი, რომ ის არგენტინის ჰიმნს არ მღერის. ასევე უნდა შევწყვიტოთ საუბარი იმაზე, რომ ის ლიდერი არაა. ლიდერობა მესისთვის არაა. მივცეთ მას საშუალება, მშვიდად ითამაშოს ფეხბურთი. ისე, როგორც ეს მას მოსწონს. მასთან ერთად ჩვენ რაღაცას მაინც მოვიგებთ, მის გარეშე კი – ვერაფერს მივაღწევთ. მესის თანაგუნდელები მოედანზე ისეთ როლს ვერ თამაშობენ, რომ გუნდმა რომელიმე თასი მოიგოს. ლეოს გარეშე, ნაკრები საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ იბრძოლებს, მასთან ერთად კი გუნდი ფინალებში იბრძვის.

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ არგენტინის ეროვნული ნაკრების ჩაბარებაზე უარი თქვა, რისი მიზეზიც ფეხბურთის ფედერაციის ლიონელ მესისადმი დამოკიდებულებაა.

– მე არ გავწვრთნი იმ ფედერაციის გუნდს, რომელიც ლეო მესის მსგავს ლეგენდას პატივს არ სცემს. ასეთ შემთხვევაში მე როგორ მოვიპოვებ პატივისცემას? – განაცხადა სიმეონემ.

ამასობაში რამდენიმე ასეულმა არგენტინელმა გულშემატკივარმა ბუენოს-აირესის ცენტრში აქცია გამართა ლიონელ მესის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების მოთხოვნით. ბუენოს-აირესის ერთ-ერთი ცენტრალურ მოედანზე გულშემატკივართა მიტინგის ჩატარებას ვერც კოკისპირულმა წვიმამ შეუშალა ხელი.





შეგახსენებთ, რომ მესიმ არგენტინის ნაკრებში თამაშზე უარი კოპა ამერიკის ფინალში, ჩილესთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რის შემდეგაც არგენტინის ნაკრებიდან კიდევ 6 მოთამაშე წავიდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ილია კოსტუნოვი: „რატომ ართმევთ აფხაზებსა და ოსებს დამოუკიდებლობის მოთხოვნის უფლებას?“

– 1991 წელს საქართველომ მოინდომა დამოუკიდებლობა. ზუსტად ასევე მოისურვეს აფხაზებმა და ოსებმაც. რატომ ართმევთ ამ უფლებას?! – განაცხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ილია კოსტუნოვმა.



– აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დიდი ტკივილია. რუსეთის ფედერაცია არ დაუშვებს ადამიანების მკვლელობებს. რუსეთის ფედერაცია მოითხოვს, რომ მათ მოილაპარაკონ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოილაპარაკოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებთან. ამისთვის საჭიროა გაგება, რატომ იქცევიან ისინი ასე; გაგება იმისა, რომ მათაც აქვთ უფლებები. 1991 წელს საქართველომ მოინდომა, დამოუკიდებელი ყოფილიყო. ზუსტად ასევე მოისურვეს მათაც, რატომ ართმევთ ამ უფლებას? მათაც აქვთ საკუთარი აზრი და მოელაპარაკეთ. რუსეთის ფედერაცია არ ერევა მოლაპარაკებების პროცესში. მაგრამ გვესმის, რომ ამ ტერიტორიაზე, საერთაშორისო მანდატის შესაბამისად, განლაგებულნი იყვნენ მშვიდობისმყოფელები. ამ მშვიდობისმყოფელებზე განხორციელდა დარტყმა. შემდეგ იქ შევიდნენ შეიარაღებული ძალები. ეს ყველა საერთაშორისო შეთანხმების დარღვევა იყო. ეს ძალიან რთული ფურცელია ჩვენს ურთიერთობებში, ამიტომ საჭიროა მოლაპარაკება, საერთო ფასეულობების მოძებნა და ამ ფასეულობების ირგვლივ საერთო მომავლის აშენება, – განაცხადა ილია კოსტუნოვმა, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე საიუბილეო სესიის ფარგლებში თბილისში იმყოფება.

რუსი დეპუტატის თქმით, რუსეთისთვის „ზუსტად ისევე ძალიან ფასეულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების ხმა, როგორც საქართველოს თითოეული მცხოვრების“.

– მოიფიქრეთ ყველასთვის მიმზიდველი მომავლის გამოსახულება, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ, ისტორიულ და იმ ინტერესებს, თუ ვის როგორ უნდა საკუთარი შვილების აღზრდა. როგორც კი ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, დარწმუნებული ვარ, ყველა პრობლემა აღმოიფხვრება. ახლა ვხედავ ნაციონალისტებს, მეორე მხრიდანაც – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზეც არიან, სამწუხაროდ, ადამიანები, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტას არ ეძებენ; საქართველოშიც არიან ისინი. საჭიროა კომპრომისული გადაწყვეტილების მოძებნა, – განაცხადა ილია კოსტუნოვმა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს





საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს. მილოცვის წერილს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

– თქვენო აღმატებულებავ, ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ გულწრფელი და გულითადი მილოცვა ბელარუსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

დამოუკიდებლობის მთელი ამ წლების განმავლობაში პირადად თქვენი ძალისხმევით ბელარუსის რესპუბლიკამ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა სფეროში.

მჯერა, რომ საქართველოსა და ბელარუსს შორის არსებული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის კავშირები მომავალში კიდევ უფრო გამყარდება და საგრძნობ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქვეყნის ხალხებს.

პატივცემულო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ბელარუსის მეგობრულ ხალხს კი შემდგომ წინსვლასა და კეთილდღეობას, – მიმართავს გიორგი მარგველაშვილი ბელარუს კოლეგას.

**ინტერპრესნიუსი**

*მედიცინა*



# როგორ მოვუაროთ ჭრილობებსა და ნაკაწრებს



პატარ-პატარა ჭრილობებისა და ნაკაწრების უებარი წამალია სუფთა წყალი და საპონი. ჭრილობა ჩამობანეთ საპნიან წყალში დასველებული ბამბის ტამპონით ან სუფთა ნაჭრით. ძალიან კარგია, თუ ჭრილობის გასასუფთავებლად გამოიყენებთ წყალბადის ზეჟანგს. ეს არის ხსნარი, რომელიც ჭრილობაზე დასხმისას თავისთავად ქაფდება და რეცხავს ჭრილობას. ეს ხსნარი თავისუფლად იყიდება აფთიაქებში.

ანტისეპტიკური საშუალება იმდენად საჭირო არ არის, როგორც საგულდაგულო გასუფთავება. ჭრილობა რომ შედარებით სუფთა იყოს, ბინტით შეახვიეთ.

თუ ბავშვს ღრმა ჭრილობა აქვს, რა თქმა უნდა, აჯობებს ექიმს აჩვენოთ, სახის უმნიშვნელო დაზიანების დროსაც კი კარგი იქნება, უშუალოდ სპეციალისტს მიმართოთ, რადგან იარა სახეზე ძალიან შესამჩნევია. იგივე ითქმის ხელებისა და მაჯების ჭრილობებზეც, ვინაიდან არსებობს ნერვებისა და მყესების დაზიანების საშიშროება.

თუ ჭრილობაში ქუჩის მტვერი ან მიწა მოხვდა, აუცილებელია ექიმის ჩარევა. მიწა ხშირად შეიცავს ტეტანუსის ბაქტერიებს. ექიმი ალბათ გირჩევთ, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატის ან დამატებითი აცრის გაკეთებას. განსაკუთრებით ღრმა ან ნაჩხვლეტი ჭრილობის დროს (მაგალითად, თუ ბავშვს ფეხში ლურსმანი შეერჭო).

* * *

თუ ბავშვი რომელიმე ცხოველმა დაგიკბინათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. მის მოსვლამდე კი ისევე დაამუშავეთ ნაკბენი, როგორც ჭრილობის დროს დაამუშავებდით. ამავე დროს თვალი გეჭიროთ ცხოველზე. თუ მას ცოფის ნიშნები აღმოაჩნდა, ან დაიკარგა თვალთახედვიდან და საშუალება არ გაქვთ უთვალთვალოთ, ბავშვს გაუკეთეთ ცოფის საწინააღმდეგო აცრები.

ჩაატარეათ სრული კურსი იმ შემთხვევაში, თუ ცხოველზე დაკვირვება აღარ მოხერხდა. სჯობს იყოთ წინასწარ დაზღვეული, ვიდრე გასწიოთ გაუმართლებელი რისკი.

* * *

შესახვევი მასალის ფორმა და ზომა დამოკიდებულია ჭრილობის ზომასა და მდებარეობაზე. მომცრო ზომის, წინასწარ დამზადებული ბინტის საფენები თითქმის ყველა პატარა ჭრილობას მიესადაგება.

დიდი ჭრილობისა ან განაკაწრისათვის სტერილური დოლბანდის საფენები იხმარეთ, რომელიც მზა სახით იყიდება აფთიაქებში. ასევე შეიძლება იხმაროთ სუფთა ბამბის ქსოვილიც. სჯობს ქსოვილის ნაჭერი ან დოლბანდის საფენი კანზე ლეიკოპლასტირის წვრილი ლენტებით დაამაგროთ (პატარა ბავშვებს ნახვევი მალე ძვრებათ ხოლმე). ბანდი ჭრილობას მოხერხებულად უნდა შემოადგეს, მხოლოდ მაშინ არის იგი სასარგებლო.

ხელს ან ფეხს ლეიკოპლასტირი ირგვლივ არ შემოახვიოთ, ამან შეიძლება სისხლის ნორმალური მიმოქცევა შეაფერხოს. თუ შეხვეული ხელი ან ფეხი გაშავდა ან გასივდა, ე.ი. ბინტი ძალიან მჭიდროდ შემოგიხვევიათ. მაშინვე შეხსენით და ხელახლა ხალვათად შემოახვიეთ. ბინტით თითის შეხვევაც შეიძლება, ოღონდ არა მჭიდროდ. თუ ბინტი საკმაოდ გრძელია, ის დიდ ხანს არ მოძვრება.

კანი უკეთ შეხორცდება და ინფექციის შეჭრის საშიშროებაც ნაკლები იქნება, თუ ჭრილობას იშვიათად შეხსნიან და გადაახვევენ ხოლმე. თუ სახვევი მოეშვა ან დაისვარა, ძველი ბინტის ფენას გარედან ახალი შემოახვიეთ. საერთოდ, ბინტი ფრთხილად უნდა შეხსნათ. უნდა ეცადოთ, რომ ჭრილობის კიდეები არ გადაიხსნას. ეს ჭრილობის მალე შეხორცებას შეუწყობს ხელს.

ჭრილობა პირველ დღეს შეიძლება ფეთქავდეს, მაგრამ ეს საშიში არ არის. ოღონთ, მოგვიანებით, ტკივილი თუ გაძლიერდა სავარაუდოა, რომ ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა, შეხსენით სახვევი და ჭრილობა დაათვალიერეთ. თუტ ჭრილობის ირგვლივ შესიება ან სიწითლე შეამჩნიეთ, ექიმს უნდა მიმართოთ.

თუ ბავშვებს მუხლებზე კანი გადაეტყავა, ეს ადგილი მობანეთ, მაგრამ ქერქის წარმოქმნამდე არ შეახვიოთ. თუ ჭრილობას მაშინვე შეახვევთ, ბინტი კანს მიეწებება და როცა მოხსნით, გამხმარი ქერქიც მოძვრება. ანუ, ჭრილობა ისევ გაახლდება.

თუ პატარა ბავშვს ტუჩთან გაეჭრა კანი, სჯობს არ შეუხვიოთ, ვინაიდან ბანდზე შეიძლება ნერწყვი და საჭმლის ნამცეცები დაგროვდეს, ჭრილობის ადგილი კი უსათუოდ სუფთა უნდა იყოს.

# ასტროპროგნოზი
## 4 ივლისისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა როგორც მუშაობის, ისე დასვენებისათვის. მიზნის მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. **კურო** – ცდუნებას არ აჰყვეთ. უარი თქვით ქალაქგარეთ გასვლაზე, მივლინებებსა და მოგზაურობაზე. **ტყუპები** – ბედის გამოცდა გრძელდება. არჩეულ გზას უერთგულეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ტრავმის მიღების ალბათობა იზრდება. **კირჩხიბი** – გაუთვალისწინებელი გარემოებები საქმეში ხელს შეგიშლით. დაძაბულობის პიკზე ხართ. გირჩევთ, განმარტოვდეთ. **ლომი** – დღე რაციონალურად დაგეგმეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. **ქალწული** – დღეს ყველას სჭირდებით. ახლობლები თქვენს ყურადღებას ითხოვენ და უკმაყოფილონი არიან. **სასწორი** – იმედი გიცრუვდებათ. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. ეცადეთ, დღის ნეგატიური ტენდენციები გულთან ახლოს არ მიიტანოთ. **ღრიანკალი** – ჩვეულებრივი დღე გაქვთ. ნუ იაქტიურებთ. ეცადეთ, საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც თქვენი შრომის შედეგზეც აისახება. სიტუაციას პრაქტიკულობის მეშვეობით გამოასწორებთ. **თხის რქა** – სამუშაო თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ნუ აჩქარდებით. არ გადაიღალოთ. **მერწყული** – პროვოკაციული დღეა. ნურავის მიენდობით. ცდუნებას არ აჰყვეთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **თევზები** – გაუთვალისწინებელი შემთხვევა საქმეში დაბრკოლებას შეგიქმნით. ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. მეცნიერების დარგი; 3. ... ლოლაშვილი; 4. პირველი ნოტი; 5. ავსტრალიური სირაქლემა; 6. მღვდლის სამოსელი; 7. დამუხტული ელექტროდი; 8. ნიბლია; 9. ჯუჯა კამეჩი; 10. ქიმიური ელემენტი; 11. ... შარიფი; 12. დიდი ზომის საორკესტრო ნაწარმოები; 13. ნაყონი ანუ ...; 14. ომის უკუსიდიდე; 15. წყლის ტრანსპორტი; 16. რასაც ეწევიან, აბოლებენ; 17. კარ-მიდამო ლათინურ ამერიკაში; 18. ენიო...; 19. კარგი ხარისხის ყავა; 20. ლიტერატურული თამაში; 21. ბიბლიური საკვები; 22. ლირიკული ვოკალური ნაწარმოები; 23. დიდი სახაზავი; 24. იტალიური ღვეზელი; 25. „არჩევანის“ მომდევნო; 26. რასაც საათი აჩვენებს; 27. ქალაქი-ნავსადგური საფრანგეთში; 28. მომჭირნეობა; 29. სამკერდე ჯილდო; 30. ... ფეროუ.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ჰუნდაი“; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გენი; 6. როლერი; 8. ბარონი; 11. „მაჟესტიკი“; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. გინიოლი; 19. დოჟი.

**თარაზულად:** 1. ჰაჯიბეკოვი; 4. „ზინგერი“; 7. ნოვრუზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. აბორდაჟი; 16. ყინწვისი; 17. კურსები; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ენისელი“; 2. „ბერიკები“; 3. ანტრაციდი; 4. ყაზბეგი; 5. კომპრომისი; 10. კათეტი; 11. ოპონენტი; 12. კრიზისი; 13. ბავარია; 16. ინტერნეტი; 17. ჩუქურთმა; 19. ესკულაპი; 21. პანტა; 23. იარდი.

**თარაზულად:** 6. ანტვერპენი; 7. სადროშო; 8. სენაკი; 9. მაიონეზი; 14. ტაშკენტი; 15. „ჰეინიკენი“; 18. ანტრე; 20. კუპლეტი; 22. ჰაიდუკი; 24. კაკადუ; 25. ტერაკოტა; 26. ნადიმი.

# ნანუკა ჟორჟოლიანმა საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორებს თანხა ჩაარიცხვინა

ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა გასულ კვირას 17 წლის მიხეილ სხვიტარიძესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც განმარტა, რომ სტანისლავ ბონდარენკოს მიერ ჩატარებული საქველმოქმედო სპექტაკლებითა თუ სხვადასხვა ღონისძიებით შეგროვილი თანხები ადრესატამდე არ მისულა.

ნანუკას განცხადებას საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორები გამოეხმაურნენ. მათ თავდაპირველად განაცხადეს, რომ მიხეილ სხვიტარიძის ოჯახს დახმარება გაუწიეს, მოგვიანებით კი აღიარეს, რომ თანხას უახლოეს დღეებში ჩარიცხავდნენ.

ნანუკამ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მიხეილ სხვიტარიძის ანგარიშზე 14.130 ლარი ჩაირიცხა.

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

– 14.130 ლარი ჩაირიცხა მიხოს ანგარიშზე. ახლა უკვე ჯანდაცვაც და მერიაც დაეხმარებიან. ვულოცავ ოჯახს და, იმედია, ასეთი ფაქტები აღარ მოხდება. სიკეთის გაკეთების სურვილი რომ არ დაეკარგოთ ადამიანებს! ანა ლაშხელი-ონიანი, გილოცავ! შენ ძალიან ბევრი გაქვს ამ ბავშვისთვის გაკეთებული და, იმედია, ბოლომდე მიხედავ მას.



ანა ლაშხელი-ონიანი ახალგაზრდა პოეტი და მწერალია. ის დიდი ხანია მიხეილის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას ატარებს და სოციალურ აქტივობას ეწევა:

– მადლობა შენ, ნანუკა. შენ რომ არა, სამი თვე კიდევ გაჯანჯლდებოდა ეს თემა. მაგრამ ეს საკმარისი არაა, სამწუხაროდ. ვაგრძელებთ თანხების მოძიებას და, იმედია, სასექტემბროდ მაინც გავუშვებთ მიშიკოს ისრაელში.

მიხეილ სხვიტარიძე 17 წლისაა, დაავადებულია ოსტეოპოროზითა და კუნძოვანი კვანძებით. მას 8 გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა ძალიან რთულია. ესაჭიროება გერმანიაში გადაყვანა და ოპერაციის ჩატარება. ყოველთვიურად სჭირდება ძვირადღირებული მკურნალობა. მისი გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს. მამა გარდაცვლილი ჰყავს, არის მრავალშვილიანი ოჯახიდან და არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი. ამ დროისთვის ის და მისი ოჯახის წევრები ქირით ცხოვრობენ სარდაფში. მარტოხელა დედას შვილის მკურნალობისთვის საჭირო თანხები არ გააჩნია.

## ანრი ჯოხაძე: „ზოგიერთების საყურადღებოდ!“

მომღერალი ანრი ჯოხაძე ნამდვილად სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ, პირდაპირ და გამორჩეულ ადამიანად ქართულ შოუბიზნესში. ანრი ყოველთვის ღიად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და ამის გამო ბევრსაც ტოვებს გულნატკენს, მაგრამ თვითონ მიაჩნია, რომ სიმართლე უმთავრესია.



**ანრი ჯოხაძე:**

– ზოგიერთების საყურადღებოდ! მთელი ცხოვრება თქვენს პერიმეტრზე ვიმყოფები, მაგრამ, როცა ძალიან კარგად ხართ, მაშინ არ გახსენდებათ ჩემი არსებობა და როცა ცხოვრება ხერხემალში გადამტვრევას გიპირებთ, პირველი ჩემთან მორბიხართ საშველად, იცით, რომ არასოდეს მოგცემთ წაქცევის საშუალებას, არადა, მე ის ვარ, შენი კარგად ყოფნა უშენოდ რომ მიხაროდა.

## გიორგი გოცირიძე ეტლში ჩაჯდა

„კომედი შოუს“ მსახიობი გიორგი გოცირიძე რამდენიმე თვის წინ საშინელ ავარიაში მოყვა. მას მანქანა დაეჯახა და მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგა ხანს საკმაოდ მძიმე იყო.



რამდენიმე გადაუდებელი ოპერაციის შემდეგ გიორგის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ის ექიმებმა სახლში გაწერეს, მაგრამ მსახიობს სიარული დღემდე არ შეუძლია და ეტლში ზის. მართალია, გიორგი სამსახურში უკვე დაბრუნდა, მაგრამ ეტლში მჯდომს გადაადგილებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს.

**გიორგი გოცირიძე:**

– რაც ეტლში ვზივარ, მივხვდი, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ტრ..შია, ვიდრე აქამდე მეგონა. საერთოდ პატივს არ სცემენ და არ აფასებენ ასეთ ადამიანებს. შესვლა რომ მოგინდეს მაღაზიაში, „რესტორანში“, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და რავი, ნებისმიერ ადგილას, ვერსად ვერ მიხვალ, თუ 4 კაცი არ გახლავს თან, რომ აგწიონ და შეგიყვანონ. სირცხვილია, უბრალოდ, ძალიან სირცხვილი, ადამიანებად არც თვლით საერთოდ ასეთ ხალხს. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ და ცოტა პატივი ეცით.

## თავისუფალი თეატრი 15 წლისაა

თავისუფალი თეატრი, რომელიც რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა დააარსა, 15 წლისაა. იუბილეს თეატრი 4 ივლისს თეატრალიზებული საღამოთი აღნიშნავს. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, უამრავი სიურპრიზი ელის.



– თავისუფალი თეატრი არის თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლესა და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს. დღიდან დაარსებისა, თავისუფალი თეატრი ინარჩუნებს ქართველი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი თეატრის სტატუსს. მისი სპექტაკლები არავის ტოვებს გულგრილს, – ამბობს თეატრის დამაარსებელი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კალეიდოსკოპი

## 117 წლის მექსიკელმა დაბადების მოწმობა მიიღო და გარდაიცვალა



მექსიკაში 117 წლის ქალბატონი დაბადების მოწმობის მიღებიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ტრინიდად ალვარეს ლირა მრავალი წელი ელოდა დაბადების მოწმობის მიღებას, რათა მისი დახმარებით ესარგებლა ყველა იმ უფლებით, რომლებსაც მას სახელმწიფო შეღავათები აძლევდა, დიდი ასაკიდან გამომდინარე.

ახლახან მეხიკოს სოციალური განვითარების დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გასულ კვირას 1898 წელს დაბადებულ ქალბატონს, ბოლოს და ბოლოს, გადაეცა მისი დაბადების მოწმობა, მაგრამ მალე ის გულის შეტევისგან გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე უხუცეს ქალად მათ შორის, რომელთაც დედამიწაზე უცხოვრიათ, ფრანგი ჟანა-ლუიზა კალმანია აღიარებული, რომელიც 1997 წელს 122 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## ბიკინებიანმა ოფიციანტმა შეიარაღებული მამაკაცი გააბითურა

კალიფორნიიის კაფეში ბიკინის უნიფორმაში გამოწყობილმა ოფიციანტმა მის თავზე იარაღმიბჯენილ მამაკაცს უბრძანა, თავის რიგს დალოდებოდა.

გოგონამ შეიარაღებულ მამაკაცს უთხრა, რომ ის ჯერ სხვა კლიენტს მოემსახურებოდა და მოსთხოვა, რიგში ჩამდგარიყო. ამის შემდეგ ოფიციანტი, რომლის ვინაობა არ სახელდება, შეუმჩნევლად გავიდა კაფედან და პოლიცია გამოიძახა.



შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა 43 წლის ჯორჯ კარილიო დააპატიმრეს, რომელსაც აღმოაჩნდა თოფი, კასტეტი და დანა. მამაკაცს წაყენებული აქვს მკვლელობის მცდელობის, დატენილი ცეცხლსასროლი იარაღის, ცივი იარაღის ფლობისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის ბრალდება.

მამაცი ოფიციანტის თანამშრომელმა მარისა პინედომ პოლიციას განუცხადა, რომ კარილიო, ფაქტობრივად, მათი მუდმივი კლიენტი იყო და მისი მხრიდან ადრე პრობლემები არ ყოფილა, თუმცა, ამავე დროს, გოგონამ აღნიშნა, რომ მათი დაწესებულების კლიენტების მხრიდან ყველაფერია მოსალოდნელი და ეს მათი ჩაცმულობის ბრალია.

– ზოგჯერ ადამიანები ჩვენ აღგვიქვამენ ისეთებად, როგორებიც არ ვართ და ეს ჩვენი ჩასაცმელის გამო ხდება. ზოგიერთი კლიენტი მოითხოვს, ვუცეკვოთ ან გავიხადოთ და თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, როდესაც უარს ვეუბნებით, – განაცხადა პინედომ.

## თავშესაფარში მოხვედრილი მკვდარი კატა სათამაშო ძაღლი აღმოჩნდა

ლა-მანშის სრუტეში მდებარე კუნძულ გერნსიზე მცხოვრებმა იპოვა, როგორც თავად ფიქრობდა, მკვდარი კატა და ცხოველთა თავშესაფარში მიიტანა, რათა იქ დაედგინათ, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ცხოველი. თუმცა გაირკვა, რომ ის სათამაშო ძაღლი იყო და სულაც არ იყო არათუ კატა, არამედ ცოცხალი არსებაც კი.



ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომელ სტივ ბირნის თქმით, დეტალური დათვალიერებისას ნათელი გახდა, რომ მკვდარი ცხოველი სინამდვილეში ძალიან ჭუჭყიანი, სველი და მწერებით სავსე ბეწვიანი სათამაშო იყო.

ბირნის თქმით, ის ცდილობს, იპოვოს შავ-თეთრი სათამაშოს პატრონი. ორგანიზაციის გვერდზე ფეისბუქში განთავსდა სახუმარო განცხადება, რომელშიც წერია, რომ „კატა“ ყოველმხრივ მოაწესრიგეს, თუ ტრავმირებულ ცხვირს არ ჩავთვლით.

## დიდ ბრიტანეთში „მის ჰიტლერი“ აირჩიეს

დიდ ბრიტანეთში ნეონაცისტურმა საზოგადოებამ ჩაატარა სილამაზის კონკურსი „მის ჰიტლერი-2016“. კონკურსის გამარჯვებული გახდა შოტლანდიელი, ულტრამემარჯვენე მოძრაობის აქტივისტი ფსევდონიმით „გონებასუსტთა ავტობუსი“.



სად გაიმართა კონკურსი და როგორი კრიტერიუმებით მოხდა ფინალისტების შერჩევა, უცნობია. ნეონაცისტურ ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ მათ აღნიშნული ღონისძიება საკუთარი რწმენის პოპულარიზაციისთვის ჩაატარეს.

სილამაზის დედოფლის ინტერესების სფეროთა შორისაა კითხვა და ეზოთერული თემები. გოგონას თქმით, ადრე ის უფრო მშვიდობის მოყვარული შეხედულებების იყო.

– მე ვიყავი კონსერვატორი... არ მსურდა იმის დაჯერება, რომ ებრაელები მტრები არიან. მე იმ რწმენით მზრდიდნენ, რომ ისინი ისეთები არიან, როგორებიც ჩვენ, ქრისტიანები, – განაცხადა გოგონამ.

„მის ჰიტლერს“ არ დაუზუსტებია, თუ რამ აიძულა, საკუთარი შეხედულებები შეეცვალა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად ნეონაცისტური ორგანიზაციის დაუნდობელი პატიოსნება მოსწონს.

ბრიტანელი ებრაელების წარმომადგენლების საბჭოში აღნიშნულ კონკურსს ოდესმე გამართულ კონკურსებს შორის ყველაზე მახინჯი სილამაზის კონკურსი უწოდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**4 ივლისი**

**07.30** დ/ფ "სიურრეალისტური ფოტოგრაფია" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.50** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** "ელექტრონავტები" **23.00** მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**"(კ.კლაინი) **01.00** მხ/ფ "**პარასკევის ღამის ნათება**" **03.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში"

**08.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **09.00** მხ/ფ "**დიდი მსუქანი მატყუარა**" **10.30** დ/ფ "ვენეცია" **11.00** ქართ. მხ/ფ "**ჭრიჭინა**" **12.30** დ/ფ "ვიეტნამი" **13.00** დ/ფ "მოკლე ამბები სიყვარულზე" რომელიც გრძელდება" **14.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **1** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** მხ/ფ "**შურისძიების ძალა**" **00.00** მხ/ფ "**ბაზა**" **01.45** მხ/ფ "**მეფის სახელით 2**" **03.20** მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 03.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**", **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **00.00** სერ. "**საშინელი ზღაპრები**", **01.30** მხ/ფ "**მხურვალება**"

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" **16.30** დ/ფ "ჰერეთი"I,II ნაწილი **17.30** წმინდანები "წმ. მოწამენი საქართველოს მეფენი არჩილი და ლუარსაბი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დ/ფ "მენელსაცხებლე დედები" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი-ეპისკოპოსთა დიდი ძალმოსილების შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** "განთიადის" არქივიდან-"წმ. მიქაელ ყულოშვილი" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00, 19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ივლისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3093

ევრო — 2.5661

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0737

100 რუსული რუბლი — 3.5989

**ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის**





## 5 ივლისიდან



ალექსანდრე დიუმა

**დედოფალი მარგო**

*მთელი რომანი ერთ წიგნში*

მაგარი ყდა, 662 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**




## იუმორი

რუსი გოგოს ეუბნება:

– აი, გიყურებ ნადენკა და მგონი, არაყი მეტი უნდა ამელო...

•••

ქალი ქმარს გაშორდა და დაქალს ეუბნება:

– ქმარს გავშორდი. სახლიდან რომ გამოვედი და კარი გამოვიხურე, სროლის ხმა მომესმა...

– სინდისმა შეაწუხა ის ნაძირალა და თავი მოიკლა?

– თავიდან მეც ეგ ვიფიქრე, მაგრამ შევიხედე ოთახში და რას ვხედავ, შამპანური გაუხსნია იმ ნაძირალას...

•••

გოგო ბიჭს ტელეფონზე ესაუბრება და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– მიყვარხარ, უშენოდ მოწყენილი ვარ, ძალიან მაკლიხარ, ყოველ ღამე მესიზმრები, უშენოდ არ შემიძლია. შენ?

– სოსისს ვჭამ.

•••

პატრულმა მანქანა გააჩერა და მძღოლს ეუბნება:

– თქვენს მგზავრ ქალბატონს ღვედი რატომ არ აქვს შეკრული?

– საჭირო არ არის ბატონო, ჩემი სიდედრი დღეს კარგ გუნებაზეა.

•••

თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სოფლელი მანქანის სავალ ნაწილზე გადადის. პოლიციელი დაინახავს, სასტვენს ჩაჰბერავს და უყვირის:

– სად მიდიხარ, რომ მიდიხარ?

– აგერ, შვილთან.

– შვილთან, თორემ ეგეც არ იყოს მინისტრი!

– მინისტრი არაა, მარა შენსავით მაინც არ უფშვიტინებს!

•••

კაცი მდინარემ წაიღო, ხან ერთ ნაპირთან მიაგდებს წყალი, ხან მეორესთან. თანასოფლელმა დაინახა და ეკითხება:

– რას შობი მაქანე?

– რას ვშობი და, ვერ ხედავ, ქვირითს ვყრი?!

•••

სოფლელს პლანს მოაწევინებენ. პირველი ნაფაზის შემდეგ:

– აია, ძამა, პლანი?

მეორე ნაფაზი:

– აია, ძამა, პლანი?

მესამე ნაფაზი:

– ტიტუუუუუ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 29 ივნისიდან

**მსოფლიო ისტორიის ატლასი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



## 30 ივნისიდან

ვიქტორ ჰიუგო

**კაცი, რომელიც იცინის**

მეორე ნაწილი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**








## 7 ივლისიდან

გაბრიელ გარსია მარკესი

**გენერალი თავის ლაბირინთში**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


# ძალოსნობა: გიორგი ჩხეიძე მსოფლიოს ჩემპიონია



105 კილოგრამამდე წონით კატეგორიას ძალოსნობის ქართველი გულშემატკივარი მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის დღიდან მოუთმენლად ელოდა. სწორედ ამ კატეგორიას უკავშირდებოდა ჩვენი მთავარი იმედი. საქართველოს ნაკრების წევრი გიორგი ჩხეიძე ამ წონის მთავარ ფავორიტად მოიაზრებოდა და გიორგიმ იმედები სრულად გაამართლა. ოქრო ატაცში, ბრინჯაო აკვრაში და, რაც მთავარია, ჯამური ოქრო.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## მექსიკურ რესტორანში ჩიპსების გამო იჩხუბეს

აშშ-ში მცხოვრებმა იზრაელ როხასმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია მექსიკურ რესტორან ელ პაისანოს მომხმარებლების ჩხუბი. აღნიშნული ჩანაწერი რამდენიმე დღის წინ ტეხასის შტატის ქალაქ დალასის რესტორანშია გაკეთებული.



როგორც როხასმა განაცხადა, კონფლიქტი ჩიპსების პორციისა და სოუს სალსას გამო დაიწყო. ზოგიერთმა მომხმარებელმა ამ კერძის ფასი, 5 დოლარი, მეტისმეტად მაღლად მიიჩნია და ვერ შეძლეს წითელი სოუსის მწვანეზე გადაცვლა. სწორედ ამან გამოიწვია ჩხუბი რესტორანში.

აღნიშნულმა ვიდეორგოლმა სოციალურ ქსელში ამ დროისთვის თითქმის 1,8 მილიონი ნახვა მოაგროვა.

## ავსტრალიელი კატა მეზობლებს ძარცვავდა

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში მცხოვრები კატა, სახელად ნინძა, რეგულარულად პარავს ნივთებს თავისი პატრონის მეზობლებს და სახლში მოაქვს.



ოთხი წლის ცხოველის ინტერესის სფერო მრავალფეროვანია. ის სახლში ეზიდება მეზობლების წინდებს, ფეხსაცმელებს, თავსაბურავებს, საცვლებსა და სხვადასხვა ნივთს, რომლებსაც კი მეზობლების ეზოებში გადააწყდება.

ცხოველის უჩვეულო ჰობის გამო მისმა პატრონმა, 33 წლის კელი მაკრეიმ, ფეისბუქში აკაუნტი შექმნა, სადაც მისი კატის მიერ მოტანილი ნივთების სურათებს აქვეყნებს, რათა ისინი პატრონებმა ამოიცნონ და შემდეგ უკან დაუბრუნონ.

მაკრეის თქმით, ნინძა, პრაქტიკულად, ყოველდღე ქურდობს. აღსანიშნავია, რომ მეზობლების უმრავლესობა შინაური ცხოველის უჩვეულო გატაცებას იუმორით უყურებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ერთგვარი დახურული ეტლი; 7. პატარა მტაცებელი ცხოველი; 8. გარკვეულ გეოგრაფიულ არეში გავრცელებული მცენარე ან ცხოველი; 10. შროშანისებრთა ოჯახის შხამიანი მცენარე; 11. ქალურ დაავადებათა ექიმი; 13. ქიმიური ელემენტი; 16. სხვადასხვა სიმღერის მოტივებისგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები; 19. პირი, რომელიც არცერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 20. ყურცქვიტა.

**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი; 2. კურკოვანი ხილი; 3. საავტომობილო სპორტის სახეობა; 4. ხვიარა მცენარეების წვეროების ბრუნვითი მოძრაობა; 5. ავსტრალიური ყურძნის ჯიში; 9. საწერ–...; 12. ურჩხული; 14. პროსპექტი, ფართო ქუჩა (აშშ-ში); 15 ჭრილობა; 17. დიდი შალაშინი; 18. ინდოელი ქალის კაბა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

